

## “საქონდაქრე“

(erTaqtiani piesa)

(სიუჟეტი ავებულია რეალურ ისტორიაზე)

moqmedi gmirebi:

**papa** \_ ორმოცდაათი წლის კაცი.

**bebia** \_ ორმოცდაათს მიტანებული ქალი.

**mama** \_ მათი შვილი, ოცდაათამდე წლის.

**deda** \_ მისი მეუღლე, ოცდაათს მიტანებული ქალი.

**Zma** \_ ოცი წლის ბიჭი. კოჭლია.

**bavSvi** \_ რომელიც შეიძლება საერთოდ არ მონაწილეობდეს.

**viRaca** \_ გაურკვეველი ვინმე, რომელიც შეიძლება რემარკების გარეშეც ჩნდებოდეს სცენაზე.

**zRaprebi SeiZleba Sesrulebuli iqnes reCitativis formiT.**

*(scena gayofilia or nawilad. erT mxares aris samuSao da amasTanave papis, bebiis da Zmis saZile oTaxi. meore mxares ki deda, mama da bavSvis oTaxi. yvelani, Zmisa da dedis garda, samuSao oTaxSi arian. deda bavSvis oTaxSia. `viRaca` iatakze dayril foTlebs iRebs da nel-nela gadis scenidan. mis gasvlasTan erTad iwyeba dialogi).*

**papa** \_ ხედავ, კაცო?!... მარტო ამ ქალაქში თვითმკვლელობის სამასი შემთხვევაა დაფიქსირებული... ეს მარტო შარშან... წელს კიდე, ექვს თვეში უკვე ორას კაცს მოუკლია თავი.

**mama** \_ ბუნებრივი გადარჩევის წესია... სიცოცხლეს მარტო ძლიერები ინარჩუნებენ.

**papa** \_ რა ბულდოზერივით ჭკვიანი ხარ?!

**mama** \_ შენ გგავარ! მაგითი შენ გგავარ!

**papa** \_ დანარჩენით არა?

**mama** \_ არა!... ყურები დედაჩემისა მაქვს, ფეხები ბაბუჩემის... ხელები კი...

**papa** \_ ორანგუტანგის!

**mama** \_ მაგ წინაპართან შენ უფრო ახლო ხარ, ვიდრე მე!

**bebia** \_ კაცებო, ნუ ჩხუბობთ!

**mama** \_ დედა, რა ვთქვი ახლა ისეთი, რომ...

**papa** \_ რა თქვი და ბოროტი კაცი ხარ!

**mama** \_ დედა, უთხარი რამე, უთხარი!

**bebia** \_ რას კბენთ ერთმანეთს... საქმე მეტი არაფერი გაქვთ?

**papa** \_ საქმე?... საქმის მეტი რა გვაქვს აგერ კროსვორდები მაქვს შესავსები, მერე ფანჯარასთან უნდა დავდგე და სამი სიგარეტი მოვწიო, ფერფლი კი ქუჩაში გადავყარო... მერე ჩაი უნდა დავლიო... მერე კბილის პროტეზები უნდა გავრეცხო... იმ კბილის ჯაგრისით, შენ რომ მიყიდე შარშან-წინის-წინის-წინის-წინ. მერე პირჯვარი უნდა გადავიწერო და დავიძინო... დავიძინო იმიტომ რომ, თქვენი ყურებით დავილაღე!

**mama** \_ დედა, უთხარი რამე, უთხარი!

**bebia** \_ რატომ ჩხუბობთ?... რა გაქვთ გასაყოფი, რა?...

**mama** \_ მე არ ვჩუბობ, დედა... ყოველთვის ეს ემებს მიზეზს, რომ მიკბინოს... ხელი მკრას! მიჯიკოს... რალაც ცუდი გამიკეთოს. არ შეიძლება, როგორც სხვა ადამიანები ცხოვრობენ, ჩვენც ისე ვიცხოვროთ!

**papa** \_ სხვა ადამიანებიც მაიმუნებისგან გაჩნდნენ?

**mama** \_ დედა, უთხარი რამე, თორემ... არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ!

**bebia** \_ ვაიმე!... დედა ჩემი სიკვდილი!... ეს რა მომსვლია! ეს რა მომსვლია?

**mama - papa** \_ რა იყო, რა მოხდა?

**bebia** \_ საშლელი... საშლელის ყიდვა დაგვაკვიწყდა!

**papa** \_ რას გაგვიხეთქე გულები... მეც არ ვიფიქრე... ისა!... ისა, არ ვიფიქრე კინლამ!

**mama** \_ კაი დროსია... საშლელი როგორ დაგავიწყდა ამხელა ქალს!... რა უნდა გელაპარაკო ამის მერე, რა!... რალაცნაირი ხარ, რა! აი, ძალიან რალაცნაირი!

**bebia** \_ მე თუ დამავიწყდა... თქვენ რატომ არ გაგახსენდათ?

**papa** \_ სახლში საშლელი შეუძლებელია, რომ არ გექონდეს!... თუ არა გაქვს და... ინათხოვრებს ის დალოცვილი ბოლოს და ბოლოს!

**mama** \_ რა მაგარი ხარ! ინათხოვრებს! ინათხოვრებს!

**bebia** \_ ჩემი შვილიშვილი სკოლაში სამათხოვროდ კი არა, სასწავლებლად მიდის!

**papa** \_ მე მაგ გაგებით არ მითქვია!...

**mama** \_ აბა, რა გაგებით თქვი?

**bebia** \_ ჰო, მეც ძალიან მაინტერესებს, რა გაგებით თქვი!

**papa** \_ ესე რომ მიყურებთ... საერთოდ არაფერს არ ვიტყვი...

**bebia** \_ აბა, როგორ გიყუროთ!

**papa** \_ საერთოდ არ უნდა მიყუროთ!... საერთოდ!... მე ხომ თქვენი მხრიდან ყურების ღირსიც კი არ ვარ!... თქვენ ხომ ყველა „სვეტსკი ობშესტვოდან“ ხართ... მე კიდევ კამეჩი ვარ!... ტალახში მიყვარს წოლა და კუდით ბუზების მოგერიება!... არ დამიბრიყვეს ყველამ?!...

**mama** \_ გამაგებინა ერთი რას ჩხუბობს! რა საინტერესოა არა, დედი?... რამ გიკებინა დღეს?... სულ რომ იკებინები და იკებინები... იმხელაზე ყვირიხარ, რომ ქუჩაში მოძრაობაც კი გაჩერდა!..

**papa** \_ თქვენლა მაკლიხართ!... იქ ხომ გადამიარეს! ახლა აქ თქვენ გინდათ, რომ გადამიართ!... რა გგონიათ, მე არ მინდა აღამიანური ცხოვრება?... დედას გეფიცები, მინდა!... მინდა!... მინდა!... მაგრამ არ მინდა ზოპარკში ვცხოვრობდე... მაშინ როცა არა მაქვს ამის სურვილი!... ფული არ უნდა გიჯიკავებდესო, თორემ ქალაქად იქცევაო! ტუალეტის ქალაქად! უხ, შენი და უხ თქვენი! რატომ მაგინებო? – მოდი აქ მეთქი და ჩემს გულში ჩაიხედე, რა ხდება მეთქი!... როცა სახლში მიდიხარ და შენი შვილები გიყვირიან? მშიაო-მშიაო! როცა გეხვეწებიან სათამაშო მინდაო, საშლელი მინდაო... რა უნდა ქნა მაშინ მეთქი?... ასე უნდა უთხრაო, რომ ფეხებზე მკიდიხართ-თქო!... წადი შენი დამსმელი დედაც ვატიროო! მირჩენია კაცურ კაცად მოგკვდე და... შენი წარაკუა სურვილები არც მაინტერესებს მეთქი!... ვეტყვი!... ვეტყვი მაგას მეთქი!... მაგრამ ისინი, იცი, რას მიპასუხებენ?... - ისინი მაინც მეტყვიან, მამიკო - პაპიკო გვიყვარხარ! მითხარი, რა ვუყო ამ სიყვარულს, რომელიც მახრჩობს მეთქი?... იცი რა მითხრა! გადახტი ფანჯრიდანო!

**mama** \_ ნეტა რატომაა, ყველა მსხვერპლი, როცა დამნაშავეს ვერაფრით ვპოულობთ!

(Semodis deda)

დედა – რას ყვირიხართ, რაშია საქმე?

**papa** \_ საშლელის ყიდვა დაგვავიწყდა.

**deda** \_ აუ, მართლა?... ვიცოდი რა, ვიცოდი, რომ დღეს რაღაცა უნდა მწყენოდა, კუჭიც მტკიოდა, ფეხსაცმელზე ქუსლიც ამძვრა და მეზობელსაც ისევ ვეჩხუბე!

**mama** \_ ისევ ეჩხუბე?

**deda** \_ ჰო! ვგრძნობდი, რომ რაღაცა უნდა მწყენოდა ვერაფრით ვერ ვხვდებოდი რა!.. ახლა მივხვდი და დამავიწყდა! რაზე ყვიროდით?

**papa** \_ ხუმრობ?... ხუმრობს!... საშლელის ყიდვა დაგვავიწყდა და ეს... ასე ვთქვათ, ეს ხუმრობს!

**deda** \_ ჩემო იმანო... ვხუმრობ, აბა რა!... ისეთი მხიარული ცხოვრება დაგვიდგა, რომ თუ არ ვიხუმრეთ, შეიძლება ვერ გაგვიგონ ისე, როგორც საჭიროა და... ვინც ხუმრობს მხიარული კვდება!

**mama** \_ ყველაფერი კარგი რაც ცხოვრებაში მინახია – შენგან მახსოვს!

**deda** \_ მართლა?!... ყველაფერი ცუდი, რაც ცხოვრებაში მინახია – შენგან მახსოვს!

**mama** \_ ხუმრობ?... ხუმრობს! ხუმრობს!?

**bebia** \_ ცოტა ხმადაბლა!... სირცხვილია!

**mama** \_ შენ გეუბნები რაიმეს?... გეუბნები?... მაცალე რა, ჩემს მეუღლეს ვემუსაიფ-ვეჭუკჭუკო!

**deda** \_ მაცალეთ, თუ შეიძლება... ბავშვი უნდა დავაძინო... მერე მოვალ და მერე! მერე ხომ იცი?  
(*haerovan kocnas ugzavnis*).

**mama** \_ ქაქაია ვი, ქაქაია?!

**bebia** \_ ამ წუთებში... ესეთ წუთებში, ვერცერთს ვერ გიტანთ!

**deda** \_ საშლელის გულისთვის შეიძლება ესეთი ამბის ატეხვა?

**bebia** \_ მე თქვენსავით ყველაფერს ვერ ვიკიდებ ფეხებზე და რა ვქნა?... ფეხები მტკივა... დამისივდა!...  
იმდენი რამე მაქვს უკვე დაკიდებული, რომ ძლივს დავბობლავ, ხომ ხედავთ!

**papa** \_ ბებერო?!

**deda** \_ თუ არ დაიკიდებთ, თქვენს თავს დააბრალეთ!... მაინც რატომ არ იკიდებთ, რატომ?

**bebia** \_ მეზარება!

**mama** \_ დედა?!... მოიხსენი მერე ეგ ზარები და... მორჩება ყველაფერი!

**bebia** \_ კი მაგრამ, საშლელი... საშლელი მაინც ხომ საჭიროა! სულ ვფიქრობდი, რა გვავიწყდება  
მეთქი და... თურმე საშლელი არ გვავიწყდება!...

**deda** \_ კუზიანს სამარე გაასწორებსო! ბავშვს ვაძინებ, და თუ შეიძლება ხმა ჩაიწყვიტეთ! გაიგეთ!  
(*deda gadis*).

**bebia** \_ ღმერთო ჩემო, საშლელი! საშლელი როგორ დაგვავიწყდა!

**papa** \_ იქნება ყველა თავს არ იკლავს... ზოგს კლავენ!...

**mama** \_ დედა! მამა!... ნუ, რა არის ეს, რა?

**viRaca** \_ მიეცი ლუდი გაუბეღურებულს, და ღვინო სულგამწარებულს, შესვას და დაივიწყოს თავისი  
სიღარიბე და თავისი სატანჯველი აღარ გაიხსენოს!

(*samuSao oTaxi bneldeba. naTdeba saZile. deda zis sawolze da manikurebs isvams frCxilebze*).

**deda** \_ დახუჭე თვალები, თორემ არაფერს არ მოგიყვები!... ნუ იცინი!... კარგი რა დედა?... შეიძლება  
ასე?... იმდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი, იმდენი!... უნდა დაგიუთოო!... უნდა დაგისუფთაო უნდა გამ-  
ოწვიპო—გაგალამაზო!... ამდენ რამეს რომ გავაკეთებ,... მერე ბრაზიან ოჯახის წევრებს უნდა მივხელო!...  
იცი, რა ძნელი მისახედაია!... ღმერთო ჩემო, რა კარგი იყო მანამ, სანამ გავთხოვდებოდი... ვიყავი ჩემთვის  
მინდვრის თავივით და... ვიყავი, ნეტარად ბედნიერი!... სულ არ მიჯერებ! არ გეცოდები?... არ გეცოდება  
დედიკო?... რომ მოგკვდები, აღარ გეყოლები, მერე ვნახოთ, რას იზამ!... მერე ვნახოთ, რას იზამ!... მოგი-  
ყვანენ ბოროტ დედინაცვალს. გამიხსენებ მერე, მაგრამ გვიან იქნება... რადგან შენი დედიკო ცაში იქნება  
ღრუბლებს შორის!... ეეჰ!... ჩემო ბიჭო! მშვენიერო! ესლა ნეტა ჩვენს სახლში ვიყოთ!... იცი რა სახლი  
გვქონდა, იქ, ზღვაზე!... რა მაგარი სახლი!... თეთრი, ქათქათა!... მარმარილოს კიბეებით!... მოაჯირები?... ვა-  
იმე რა მოაჯირები იყო... ფოთლები! ყურძნები! ტოტები ისე ლამაზად იყო გამოჭედილი ამ მოაჯირზე...  
რომ შურზე გასკდებოდი კაცი!... მერე ოთახები!... მუხის პარკეტი, ლაქწასმული!... ყველა ოთახში ფერადი  
ტელევიზორი!... ჭალები, ჩეხური ბროლი! მოოქროვილი ჭურჭელი!... ვენეციური სარკეები!... ავეჯი!  
წითელი, შავი ხე!... კაკლის თაროები!... რამდენი წიგნები გვქონდა... ენციკლოპედიები, რომანები,... ძალიან  
ლამაზ ყდებში! ისეთი ლამაზი წიგნები იყო, გამოლებაც კი არ გინდოდა!... ოთხი მანქანა გვყავდა. „ბასეი-  
ნი“ ოქროს თევზებით... არაფერზე არ მწყდება ისე გული, როგორც ჩემს საქორწილო კაბაზე!... იცი რა  
ლამაზი ვიყავი იმ კაბაში!... შურისაგან შეიძლება გული გაგსკდომოდა!... ფუჩჩები, ფუჩჩები, ფუჩჩები!...  
მარგალიტებით ნაქარგი გრძელი სახელოები... აქ, „ზაპონკების“ მაგივრად ზურმუხტისთვლებიანი ღილე-  
ბი!... ვაიმე!... ზღაპარი იყო! ზღაპარი! ...რა ვქნა, ზღაპარი მოგიყვე?... ზღვაზე, მოგიყვე ზღაპარი?... მეტი  
რალა ზღაპარი გინდა?... მაშინ ზღვაზე ვცხოვრობდით, ესლა ნაპირზეც კი არა ვართ!... ეეჰ, კაი ცხოვრებ-  
ას ყოველთვის მათხოვრული ბოლო აქვს!... იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოწყვეტილი ფოთოლი, რომ-  
ელიც მხოლოდ მაშინ ცოცხლდებოდა, როცა ქარი დაუბერავდა. თორემ ისე, იდო სხვა ფოთლებთან  
ერთად მტვრიან გზაზე და აქეთ-იქით მოსიარულე ფეხსაცმელების კაკუნ-ბაკუნზე თუ შეირხეოდა... ფო-  
თოლს - მოწყვეტილი ფოთოლი ერქვა!... მოწყვეტილ ფოთლებს სხვა სახელებს არ არქმევენ!... ფოთოლი  
ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, ახალი ჩაძინებული იყო, როცა თავზე რალაც სრიალა, ცივი და სველი და-  
ეცა... ის ვერ იტანდა წვიმას, წყალს და ყველაფერს იმას, რაც ნესტთან იყო დაკავშირებული. — „ნესტი  
მოდიდანაა გამოსულიო!... ის დრო, როცა სველი, მსუყე ფოთლები იყო მოდაში, დიდი ხანია გავიდაო...

ახლა მშრალი და ტყავიანი ფოთლების ერა დაგვიდგაო“ – ამიტომაც ფოთოლი შეცბა და თვალი გაახილა... მან დაინახა, რომ მის გულთან, სადაც ძარღვები ერთმანეთს ეჯვარედინებოდნენ, წყლის ერთი წვეთი, შეშინებული ცახცახებდა... – შენ ვინა ხარ?... – იკითხა ფოთოლმა, და უნდოდა ახლოს ჩაქროლილი ნიავის კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ ვერ მოასწრო და ამაზე ძალიან გაბრაზდა... – მეე! – ჩაიურჩულა წვეთმა – მეე, ცრემლი ვარ!... ცრემლი? – ეჭვის თვალთ შეხედა ფოთოლმა, მას ესეთი ცნება წყლიანების შესახებ, არც კი გაეგონა, – ცრემლი რისი მაქნისია?... – რისი მაქნისია ცრემლი? – ჩაფიქრდა ცრემლი, – არ ვიცი!... შენ თვითონ რისი მაქნისია ხარ?... მეე! – ამაყად გააქნია მოწითალო ღერო ფოთოლმა, – მე ვშრიალებ!... – შრიალებ?!... – გაუხარდა ცრემლს, რადგან ეს სიტყვა რაღაც სასიამოვნოდ მოეჩვენა – მე კი ვტირივარ!... – ტირილი რა არის? – გაუკვირდა ფოთოლს. ტირილი?... არ ვიცი, მაგრამ, რატომ იწყება ტირილი, ვიცი!... რატომ იწყება?... იმიტომ, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც მას უნდა!... – ვის მას? – აქეთ-იქით მიიხედა ფოთოლმა, მაგრამ ვერაფერ ვერ დაინახა... მას! ვისაც ყველაფერი ისე კი არ უნდა, როგორც არის, არამედ ისე, როგორც არ არის! – აუხსნა ცრემლმა... – ხა-ხა! – გაეცინა ფოთოლს, ეგ სულელი ყოფილა!... – ხი-ხი! – გაიცინა ცრემლმა, მაგრამ თვითონ ვერ მიხვდა რატომ,... – მოდი ვიმეგობროთ! უთხრა ფოთოლმა... – მოდი, მაგრამ... მე მალე გავშრები! – ამოიხვნეშა ცრემლმა. – ეეჰ! მეც მალე დავლპები! – გაეცინა ფოთოლსაც,... – მაგრამ თუ მე და შენ ვიმეგობრებთ, მაშინ შეიძლება არაფერი არ მოგვივიდესო... – ეგ როგორ? – გაუკვირდა ცრემლს... როგორ და, თუ ქარი დაუბერავს, ქარს გავევთ, თუ წვიმა წამოვა და ნაკადულებს გააჩენს, ნაკადულებს გავევთ, თუ ვინმეს მივეკრობით რამეზე, იმასაც გავევთ და ასე ვიქნებით... მერე კი მოვკვდებით, აბა რა იქნება!... მოვკვდებით, აბა რა იქნება!... – გაიმეორა ცრემლმა და რაღაცა გაახსენდა, – უიმე, ეგეთებს ხომ ლტოლვილებს ეძახიანო!... – ლტოლ-ვილი! – რა სასიამოვნო სიტყვაა!... ლტო-ლვი-ლი! ლტო-ლვი-ლი! – გაუხარდა ფოთოლს... – ლტოლვილი, შეიძლება ჩვენთვის კარგი სიტყვაა, მაგრამ იმისთვის ვინც გადმომაგდო, არც მთლად კარგია! რადგან სულ ამ სიტყვას იძახოდა, როცა მე ვიბადებოდიო! – თქვა ცრემლმა... ხა-ხა-ხა! – გაიცინა ფოთოლმა... ხიხიხი! – ექოსავით აყვა მას ცრემლი... – ჩვენ მაინც ცოცხლები ვართ!... ჰო, ჩვენ ცოცხლები ვართ!... ჩასჩურჩულეს ერთმანეთს და იქვე საიდანღაც გაჩენილ ნაკადულს გაჰყვნენ... მიჰყვებოდნენ წყალს და მღეროდნენ – „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა, ალვის ხის ჩამონათალი“... დარი-დირი-დარი-დირი, დარი-რირი-რირი-რო!... დიდხანს მოყვებოდნენ ამ ნაკადულს, რომელიც ჯერ ჩქარ მდინარეში, შემდეგ კი ფიქრებში ჩაღრმავებულ არხში გადაიხარდა... მერე კი დინებამ ისინი ზღვისაკენ გააქანა... ფოთოლიცა და ცრემლიც გაკვირვებულები უყურებდნენ ლტოლვილების ცრემლებივით უამრავ მარილიან წყალს და გული ბაგა-ბუგით უცემდათ – ეჰეჰე! – ყვიროდნენ ისინი... ოჰ-ოჰო! – პასუხობდა მათ ღელვას აყოლილი ზღვა... ოჰოჰო! – სინარულით იძირებოდნენ მის ბრძენ ტალღებში ფოთოლი და ცრემლი, – არ დამეკარგო, ჩემო ცრემლუკა! – ტანზე ეხვეოდა მას ფოთოლი!... არ დამეკარგო ფოთლუკა! – სველ ტყავზე ეფერებოდა ცრემლი... ასე და ამრიგად მილიონი წლის მერე ვიღაც მეზადურმა იპოვნა მარილისაგან გამაგრებული ფოთოლი, გაკვირვებულმა გახსნა და იცოდა რა დაინახა – ცრემლი გაქვავებულიყო და მარგალიტად ქცეულიყო!... ლამაზ, სინაზითა და სითბოთი სავსე მარგალიტად!... ასე გაჩნდნენ მარგალიტები ამ ქვეყანაზე... მოწყვეტილი ფოთლებისა და ადამიანთა ცრემლებისაგან!... დედა, რომელი საათი ყოფილა... დაიძინე ახლავე, თორემ ძალიან მეწყინება! დახუჭე თვალები! ვაიმე ღმერთო ჩემო, რამდენი საქმე მაქვს! (*uyviris*) დახუჭე თვალები, თორემ დაგახრჩობ იცოდე!...

(*dgeba da gasvlas apirebs*)

**deda \_ (*kbilebSi gamoscris*)** დაიძინე ახლავე!

(*gadis. saZile oTaxSi bneldeba, naTdeba meore oTaxi*)

**mama \_** მე კაპიკს ვაკეთებ დღეშიო!... მე სუთ კაპიკს ვაკეთებ მეთქი!... შენ ჩემზე მდიდარი ყოფილხარო!... უხ, როგორ ვერ ვიტან ამ მყიდველებს! რომ ვუყურებ, გული მერევა!... სულ იმას ფიქრობენ, როგორ დაგაკლებინონ ფასი! ხან აქედან მოგიდგებიან, ხან იქიდან... ხან სამშობლოს გაიხსენებენ, ხან ალთაბალთას!... არც კი მგონია, რომ ადამიანები არიან!

**papa \_** დიპლომატობენ, რა!

**mama \_** დიპლომატობენ კი არა, დამპლომატობენ!... ნუთუ ჩვენც ვიყავით ოდესღაც მყიდველები!... არც კი მჯერა! გული მერევა! ვეეე!... ერთმა მითხრა, ძმურად მითხარიო, აი ეს საქონელი ნაღვია თუ არაო... ხომ იცი, მაინც ავიღებო!... ჰატოსან სიტყვას გაძღვეო! მეც დედიჩემის ვჭამე რა და ვუთხარი!

**papa** \_ მერე!

**mama** \_ რა მერე... მომიგლო საქონელი და ფურთხებ-ფურთხებით წავიდა!...

**papa** \_ ენდე ამის მერე პატიოსან ხალხს.

**mama** \_ რა დაკარგეთ ისეთი, რომ მაიმუნებად გადაიქცეთო! სულელები გაგეყინათო!**(icinis)** ჰა-ჰა!

**bebia** \_ პატიოსნებაზე თუ ლაპარაკობს, მაგარი მთვრალი ყოფილა!... ფხიზელს შერცხვებოდა!

**papa** \_ შერცხვებოდა აბა რა!... სირცხვილი არ არის, კაცო, პატიოსნებაზე ქუჩაში ლაპარაკი!

**mama** \_ სახლში შეიძლება?

**papa** \_ სახლში შეიძლება, თუ არავინ არ გისმენს, მაგრამ თუ არავინ არ გისმენს და მაინც ლაპარაკობ, დებილი ხარ, აბა რა ხარ!

*(icinian)*

**mama** \_ მეც აღარ გავეცი ხმა!... გიჟი თავისუფალია! ხო თავისუფალია, მამი?

**papa** \_ თავისუფალია, აბა რა! მაგენის მორჯულებას არ დაადგა საშველი, თორემ ჩვენ რა... ჩვენ ნორმალური ხალხი ვართ! ხომ ვართ?

**bebia** \_ ვართ აბა არ ვართ! ისეთ რამეს იტყვი ხანდახან, დავეჭვდები... ეს კაცი ჩემი ქმარია თუ არა მეტი!

**mama** \_ მეც მინდა ნორმალური ვიყო! ხომ ვარ?

*(papa da bebia interesit uyureben mamas, mere ki zantad uqneven Tavs. Semodis deda).*

**deda** \_ ღმერთო ჩემო, როგორ მომბეზრდა ეს ჯოჯოხეთი!... როგორ მომბეზრდა...

**mama** \_ დაიძინა?

**deda** \_ არ ვიცი... არაფერი არ ვიცი! შელით რა ვინმე, იქნება თქვენ მაინც დააძინოთ?

**bebia** \_ ხვალ მართლა რომ დასჭირდეს საშლელი, მერე რა ვქნათ?

**papa** \_ სხვა რამეზე იდარდე რა, გეხვეწები?

**bebia** \_ მაგალითად რაზე?

**papa** \_ არ ვიცი, რაზე... რაიმე აბსტრაქტულზე!... მაგალითად ღმერთზე!...

**bebia** \_ ღმერთო ჩემო!... ახლა უცებ გამახსენდა ჩემი თავი, როგორი ვიყავი მაშინ... და ახლა როგორი ვარ!... ხომ შეიძლება ადამიანს გაგისკდეს გული... ტვინში სისხლი ჩაგექცეს... ან, ან რაღაც საშინელი უჯმაჯურობა დაგემართოს... ღმერთო თუ ხარ სადმე მითხარი, რატომ გვაცოცხლებ ჩვენ, ან იმათ, ვინც ასეთ დღეში ჩაგვადლო?

**deda** \_ ღმერთს სისულელებზე ნუ აწუხებთ!... ან რას ნიშნავს ასეთ დღეში ჩაგვადლო!... დღე რა ორმოა? თუ უფსკრულია?... დღე დღეა და ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი მდგომარეობა!

**bebia** \_ საშლელი?... საშლელი რომ დაჭირდეს ხვალ, ხომ მოგვეჭრა თავი?!

**papa** \_ ახლა ამას რაღაცით გაუხეთქავ თავს!

**viRacis xma** \_ კარგი ადამიანები ყოველთვის ბოლოს მიდიან!. კარგი ადამიანები ყოველთვის ბოლოს მიდიან!... კარგი ადამიანები...

*(Semodis `viRaca~, mis danaxvaze yvela ibneva. is maT nela auvlis gverds da uCinardeba. moqmedi gmirebi mas Tvals gaayoleben da erTmaneTs gadaxedaven).*

**deda** \_ შავი შარვალი დაუუთოვეთ?

**bebia** \_ შავი?... აბა ლურჯიო!

**deda** \_ როდის გითხარით, ლურჯი... მე გითხარით შავი!

**mama** \_ ისე არც შავი გითქვია და არც ლურჯი, თქვი მუქი შარვალი დაუუთოვეო!

**deda** \_ მეღავებით?. ისევ მეღავებით!...

**mama** \_ რა ვიცი, მე ესე მომესმა და?

**papa** \_ მეც!

**bebia** \_ მე არაფერი გამიგონია, მაგრამ იცით რაზე ვფიქრობ... იცით რაზე ვფიქრობ...

**papa** \_ ის არ თქვა ახლა, რაზეც ყველა ვფიქრობთ, თორემ...

**deda** \_ თქვენ ვინ გელაპარაკებთ საერთოდ? თუ შეიძლება, გაჩუმდით!

**papa** \_ გავჩუმდე?... ბებია გიჭყავის!

**mama** \_ ბებია უჭყავის?... მე მგონი მართლა ჭყავის... ჩშშშ!

**bebia** \_ სსს! სსს!

(*yvela Cumadaa*)

**mama** \_ უცნაურია, არავინ არ ჭყავის... არავითარი ბებია არ ჭყავის!

**deda** \_ ეგეც მე დამაბრალეთ! ეგეც მე!... ვინა ხართ, რა ხალხი ხართ ასეთი?... საიდან მოხვედით!... ვერაფერს ხედავთ, არაფერი გესმით და მეც არ მიჯერებთ! მაინც თქვენებურად აკეთებთ!

**bebia** \_ ვაკეთებთ, დიხაც ვაკეთებთ!...

**deda** \_ აღარ შემიძლია მეტი, აღარ!... აქ მე ვკვდები! ყოველ საღამოს ვიძინებ და ვგრძნობ, როგორ ვპატარავდები!... სიკვდილი მენატრება!

**mama** \_ ხა-ხა-ხა! კომედია ხარ, სუფთა კომედია!... როგორ თქვა? სიკვდილი მენატრება!... კომედი ფრანსეზო?!

**papa** \_ მე მაგალითად... გამაჩნია ნატვრის გრძნობა!... მეც მენატრება!... შემიძლია ვთქვა, რომ მენატრება!... მაგრამ რა მენატრება, ვერაფრით ვისხენებ!... არის მომენტები, რომ დავჯდები და... მყიდველებს აღარც კი ვაქცევ ყურადღებას, მხოლოდ თუ ძალიან შემაწუხებენ, ბუზების საკლავით ვიგერიებ!... ამ მომენტში, ასე ვთქვათ მოგერიების მომენტში, ძალიან მენატრება, ისე ძალიან, რომ იძულებული ვარ ვიტყვო, მაგრამ ცრემლების მაგივრად ოფლი მომდის და ამიტომ ვცდილობ არაფერი აღარ მომენატროს!

**bebia** \_ მე კი ამ ბოლო დროს ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრება... თითქოს ვდგევარ ჩემი სამსართულიანი სახლის აივანზე, მაცვია „კრემფორუეტის“ ფერის პერანგი... ირგვლივ არავინა... თენდება... აივანი გრილია... ისეთი გრილია... ისეთი, რომ მეშინია მენინგიტი არ დამემართოს... ფეხებზე საშინლად მცვივა... შრიალებენ ფოთლები... ძალიან სუსტი სიო უბერავს... და აი, ჩვენი მანდარინის ხეებთან ვილაც დგას და ჰორიზონტს უყურებს... უცხო, ვილაც სხვა... მაგრამ ვგრძნობ, რომ მისთვის ჩემი სახლი ისევე ახლავს, როგორც ჩემთვის... დგას და უყურებს ხელს... ორ მწვანე ბორცვს შორის გაჭედო, ზღვის ვიწრო ზოლს უყურებს და ღრმად სუნთქავს! აი ასე!

(*Rmad sunTqavs*).

**mama** \_ ხა-ხა-ხა! კომედია ხარ, სუფთა კომედია! როგორ თქვი, ღრმად სუნთქავს?!... კომედი ფრანსეზო?!

**bebia** \_ ისიც ჩემსავით ფეხშიშველია! სხვათა შორის ფეხებზე გრძელი კოპწია თითები აქვს... სუფთა და აკურატულია, ფეხებზე ეტყობა!... მიწაზე დგას და რალაცას ჩურჩულებს!... ბრრრ! მეშინია, ძალიან მეშინია! ხელს ზევით ვწევ, თითქოს ვილაცას ვუქნევ! ვემშვიდობები!... და ამ დროს ყურში მისი ჩურჩული ჩამესმის!... მიწა სისხლივით თბილია! მიწა სისხლივით თბილია! მიწა სისხლივით თბილია!

**papa** \_ (*TavisTvis*) რატომ მოგიყვები! რატომ!... მეტის ღირსი ვარ შენგან, შპიონო, სტუკაჩო... ჩამშვებო!

**mama** \_ რა ენაზე ამბობდა ქართულ-აფხაზურად, რუსულ-სომხურად, თუ თურქულ-ჩეჩნურად?

**bebia** \_ ადამიანურად ამბობდა! ადამიანურად!... ხანდახან ასე მგონია, იმ ვილაცას რომ დაუძახო – მობრუნდება და სიზმარში კი აღარ დავრჩები, არამედ იქ მოვხვდები ჩემს სახლში!... (*icinis*) ისეთი საინტერესო მამაკაცია!... „მეშკაინის“ გრძელი პერანგი აცვია ლამის კოჭებამდე წვედება!... ისეთი გრძელი, მუქი წაბლისფერი ხუჭუჭა წვერები და თმები აქვს!... ვუყურებ და მრცხვენია!... ძალიან მრცხვენია!... არ ვიცნობ, მაგრამ ასე მგონია, ვიცნობ და თანაც ძალიან კარგად, მაგრამ მგონია, რომ ის უფრო კარგად მიცნობს... ვხვდები, რომ, ისეთი აღარა ვარ, ადრე რომ ვიყავი!... სხვანაირი გავხდი!...

**mama** \_ მერე?

**bebia** \_ რა მერე?

**mama** \_ სულ ეგ იყო!... ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ!... მაგრამ ფინალი რომ არა აქვს, საინტერესოც არ არის!

**deda** \_ ღმერთო... ჩვენ ვართ ნორმალური ხალხი, არანორმალურ სიტუაციაში!

**bebia** \_ არა, არანორმალური ხალხი ვართ, ნორმალურ სიტუაციაში!

**papa** \_ (**bebias**) მე შენგან ამას არ მოველოდი! არ მოველოდი!... ჩემი საიდუმლო გაგანდე, შენ კი... შენ კი! მართალი უთქვამს, ვისაც უთქვამს – ორმა იცისო, ღორმა იცისო!

**mama** \_ მამა რა იყო? დედა, რა უნდა, რატომ გეჩხუბება?

**bebia** \_ ვაიმე! ვაიმე!... (**papas eCurCuleba**) ეს ხომ მხოლოდ სიზმარი იყო! მე არავისთვის არაფერი არ მომიყოლია!

**papa** \_ ვითომ! აბა თვალეებში შემომხედე?

**bebia** \_ აჰა!

(*uyureben erTmaneTs*).

**papa** \_ წირალები ამოიწმინდე და იცოდე! ი-ცო-დე!

**bebia** \_ მე შენი ვარ და შენი ვიქნები! მუდამ!

**mama** \_ სიზმრები-სიზმრები-სიზმრები!... მე კი არაფერი მესიზმრება!

**deda** \_ ღამდამობით კი ლაპარაკობთ და...

**mama** \_ მე არ ვლაპარაკობ!

**deda** \_ აბა კი!... გუშინ ღამით თუ იცი, რას იძახოდი?

**mama** \_ გუშინ ღამით რას ვიძახოდი?!

**deda** \_ **papa** \_ **bebia** \_ კრივოშიპნო-შატუნნი მექანიზმ! კრივოშიპნო-შატუნნი მექანიზმ! რაზვადნო კლიურ! სალნიკი-პორშნი-პერელოკ! სცეპლენიე-ტორმუზ-სტოპსიგნალ!

**mama** \_ ეჰ! რატომ არ შეიძლება, ადამიანები მანქანებივით რომ იყვნენ... რამდენი გაუფუჭდებოდა, ან არ მოგეწონებოდა დეტალი, გამოუცვლიდი და ისიც უკეთესად, ახალივით იმუშავებდა... ღმერთო, რატომ არ შეიძლება ადამიანიც ესეთი რომ იყოს... არ მოგწონს მისი ძრავი, ფერი, ნომერი?. აიღე და გამ-ოცვალე... ეჰ, რა შვება იქნებოდა მაშინ, რა შვება.

(*oTxive netarebiT iRimeba*).

**deda** \_ ისეთი ჭკვიანია, მანქანის ნაწილებიც იცის! მექანიზმებზე გიჟდება! ტვინი ღულს-გადმოღულს!

**mama** \_ იცი, მეც როგორ მიყვარხარ!... აი, რაღაცნაირად მიყვარხარ! ძაან რაღაცნაირად!

**deda** \_ ჩემო საყვარელო იმანო!.. ჩემო კეთილო იმანო!

(*mama uaxlovdeba dedas*)

**mama** \_ უკაცრავად, თქვენ გათხოვილი ხართ?

**deda** \_ ღიახაც, გათხოვილი ვარ!

**mama** \_ მერე ვინ არის თქვენი მეუღლე?

**deda** \_ ჩემი მეუღლეა ერთი უჭკუოუტვინოცანცარა ბიჭი!

**mama** \_ მერე ასეთი ქალი უჭკუოუტვინოცანცარა ბიჭს როგორ გაჰყვებით, თუ თქვენ თვითონ არა ხართ უჭკუოუტვინოცანცარა გოგო?... ხომ მაგრა ვკითხე? ხო მაგარი ვარ?... „ვოლკი“ ვარ, „ვოლკი“!

**deda** \_ ბრმა ვიყავი!

**papa** \_ სხვა რამეზე ილაპარაკეთ რა,... აღარაა საინტერესო ეგ საუბრები!

**mama** \_ ბრმა თუ ხართ, მაშინ საერთოდ როგორ ხედავთ?

**deda** \_ ქალური ინსტიქტით!

**bebia** \_ მაგ ინსტიქტებმა დამლუპეს თავის ღროზე!

**papa** \_ ესე იგი, უკვე ვიცი რა, რაც უნდა მოხდეს... ეს ოჯახური სერიალები გაჭრილი კიტრით გვანან ერთმანეთს!

**bebia** \_ აუწიე, რა ცოტა... თორემ არ მესმის, რას ლაპარაკობენ!

**papa** \_ შენ თვითონ აუწიე!

(*bebia uxilav pults iSvers mama-dedisaken. isini iwyeben yvirils*).

**mama** \_ სად არის მერე მაგ ქალური ინსტიქტის გასაღები?... სად ინახება?

**deda** \_ თავის ადვილას!... ამას უტვინოუჭკუოცანცარა ვერ მიხვდება!

**mama** \_ ესე იგი ვერ მიხვდება?

**bebia** \_ საშლელი როგორ დაგვაფიწყდა... დედა, როგორ დაგვაფიწყდა?

**deda** \_ ვერ მიხვდება, ვერა!

**mama** \_ იცოდე!...

**papa** \_ ძალიან ხმამაღლა ხომ არ არის... იქნებ ცოტა დაგეწია!

**deda** \_ ვიცი! აქ სხვა სამყაროა, სხვა ჰაერია! აქ მე სხვისი ცოლი ვარ! ოო, სხვისი, სხვისი ცოლი!

**mama** \_ ჰო!... აქ შენ სხვისი ცოლი ხარ!... აქ მე არ ვიცი ვინ ვარ!

**papa** \_ საინტერესოა!... ესენი მე ცოლ-ქმარი მეგონა!

**bebia** \_ მეც!... რას გაუგებ ამ იდიოტურ სერიალებს, არაფერი არაა თავის ადვილას!

**deda** \_ რა ადვილია, შენთვის ყველაფერი... ან – „ხო“ და ან – „არა“!

**mama** \_ ჰო, მე საერთოდ ადვილი კაცი ვარ!

**deda** \_ ადვილთან ადვილია ცხოვრება!

**bebia** \_ სად წავიდა ეს ბიჭი?... სად დაეთრევა ამდენ ხანს!

**papa** \_ ნახე კოცნიან ერთმანეთს!... დედა, რა მაგრა კოცნიან!

**bebia** \_ აღარ მინდა! გადავართო?

**papa** \_ გადართე!... შენ ხარ ბავშვი... რომელიც კი არ იზრდება, არამედ ბერდება!

**bebia** \_ შენც!

(*bebia uxilavi pultiT `rTavs~ sxva arxze*).

**mama** \_ (*yviris*) ჰოო... აბა ინერვიულე! დაიფხაჭნე სახე, აბაკუნე ფეხები, იწივლე, იკივლე!

**deda** \_ (*yviris*) რა გაყვირებს, რა?

**mama** \_ მე არ ვყვირივარ! მე ვბლაგივარ! ააა! ააა!

**bebia** \_ დედა-დედა-დედა!... რამ გადარია ეს ხალხი, სულ ჩხუბობენ!

**papa** \_ არა, ხანდახან კოცნაობენ კიდეც!

**mama** \_ შენ რა ფრთები ამოგდის!... დაეშვი მიწაზე!... შეხედე ირგვლივ რა ხდება!.. ფეხებზე ვკიდევართ ყველას!

**deda** \_ ეს შენ გინდა, რომ ვეკილოთ ფეხებზე!

**mama** \_ მინდა... მე იცი რა მინდა... იცი, რა მინდა!

**deda** \_ გაწიე ხელი, უხეშო!

**papa** \_ დადადა... ხედავ რა ხდება! არ აძლევს!

**bebia** \_ ნუ იცი რა, ეგეთი ლაპარაკი!

**papa** \_ გადაირია, გადაირია, ნახე!

**mama** \_ თქვენნაირებმა მომსპეს მე! – თქვენ ხომ მარტო საწოლისთვის ვარგებხართ... ცხოვრებაში კი მხოლოდ კბენა და სისინი გეხერხებათ... ლაქარდიანი ენა გაქვთ ყველას!

**deda** \_ შენ არც საწოლში ვარგებხარ!... უნდა გრცხვენოდეს მე შენ ადამიანად გაქციე!... წუმპედან ამოგათრიე, დაგფერთხე და მარმარილოს ოთახებში დაგსვი!

**mama** \_ (*icinis*) ხა-ხა-ხა!... შეგეძლო მაგის კეთების დროს უფრო ზრდილობიანი ყოფილიყავი!

**deda** \_ ნუ ყვირიხარ!

**mama** \_ ვბლავი! ვბლავი! თქვენ... ყველას გაუგებთ, ყველას... ქუჩაში, პირველად ნახულ მათხოვარსაც კი, მაგრამ მე, თქვენს გვერდით მყოფს – ვერასოდეს! ვერასოდეს ვერ გამიგებთ! და იცით რატომ!

**deda** \_ არ მაინტერესებს!... იცი რატომ?. არ შემიძლია ვიდარდო იმ ერთადერთისთვის, რომელიც ყველასათვის იბრძვის!

**mama** \_ ხა-ხა-ხა!... მართალი უთქვამთ, რეკოლუციას იდეალისტები იგონებენო!... ახორციელებენო ფანატიკოსებიო და სარგებლობენო მისი ნაყოფით – არამზადებიო!... შენ იცი, ვინა ხარ?

**deda** \_ შენ ხარ ბავშვი, რომელიც ბერდება!

(*mama iRebs jibidan `uxilav~ pistolets da umiznebs dedas*).

**papa** \_ ვითომ ესვრის?



**bebia** \_ ესერის აბა რა... ეგ ისეთი ჩათლახია, ნამდვილად ესერის!

**deda** \_ მომწყინდა შენი ყურება!

**mama** \_ მეც მომწყინდა!... ჯოჯოხეთში შეხვედრამდე! (**esvris**) ბღში!

**deda** \_ ქალაჩუნები ყოველთვის ქალებს კლავენ!... წყეულიმც იყავ, აწ და მარადის და უკუნითი... უკუნისამდე!

**mama** \_ ბღში! ბღში!

(*deda ecema savarZelze da Tvalebs xuWavs. mama midis fanjarasTan da Tavs Caqindravs*).

**mama** \_ აღამიანის ბენიერება იმაში კი არაა, რომ ბენიერი მოკვლე, არამედ იმაში, რომ ბენიერად იცოცხლო!..

(*mama mReris biTlzebis simReras `gogonebi~. deda amTqnarebs*)

**deda** \_ ვაიმე, ჩამძინებია! რომელი საათია?!..

**bebia** \_ ნახევარი საათია გძინავს!

**deda** \_ ვაიმე!... რამდენი საქმე მაქვს თან გასაკეთებელი!... (**papas**) შედით რა, დახედეთ, ხომ არ გადაიდრო?

**papa** \_ (**dgeba**) ეკ-ეკ-ეკ! თუ არ ძინავს, რა ექნა მაშინ?

**mama** \_ ზღაპარი მოუყევი და დაიძინებს...

**papa** \_ ზღაპარი... ადვილი სათქმელია ზღაპარი!... ვინ იცის, რა არის ზღაპარი? არა-ვინ!

(*papa gadis. oTaxi nel-nela bneldeba, naTdeba saZile*).

**mama** \_ თქვა მან და ტოტიდან ტოტზე გადასკუპდა!

(*papa Sedis saZile oTaxSi da sawoTan Cerdeba*)

**papa** \_ ხმა არ გავიგონო თქვენი, გუდაბრაზუნა ეშმაკებო, თორემ... დაგაჭრით ყველას ყურებს და მერე ნახავთ... რა მკითხე?... ვინ ყვიროდნენ?... დალლილი ანგელოზები. დალლილი ანგელოზები ყვიროდნენ... სად დაილაღენ?... შენს ძიებაში დაილაღენ და ახლა ერთმანეთს ეჩხუბებიან... ჩხუბობენ, ანგელოზებმა ისეთი ჩხუბები იციან, რომ მტრისას... მაგრამ კეთილად ჩხუბობენ... ჩხუბობენ, აბა მაგის მეტი რა აქვთ საკეთებელი... მერე რიგდებიან და შენნაირი კარგი ბავშვების ანგელოზები ხდებიან!... ეკ, რომ იცოდე შენს ირგვლივ რამდენი კეთილი ანგელოზი დაფრინავს! მთელი ბატალიონი! როტა! დივიზია! ჩემს ირგვლივ?... ეკ, რა ვიცი, შეიძლება კი დაფრინავენ, მაგრამ გაბუტულები არიან ჩემზე... იმიტომაა გაბუტული, რომ ხანდახან ცუდად ვიქცეოდი... ძალიან ცუდად!... ანგელოზები ისეთი სათუთი ვინმეები არიან, რომ ერთი ცუდი საქციელითაც კი შეიძლება ყველა ეშმაკებად აქციო! ეშმაკები ვინ არიან და მოტყუებული ანგელოზები!... შენხელა რომ ვიყავი, სადაც არ გავიხედავდი, სულ მუდამ კეთილ ანგელოზებს ვხედავდი... მერე გავიზარდე, დავძიმდი და ანგელოზებიც გამიეშმაკდნენ!.. არა, არა, ყველა დიდს ანგელოზები არ უეშმაკდებათ... მხოლოდ ზოგიერთებს... ეშმაკებიდან ანგელოზებად ვერ იქცევიან... რატომ, იმიტომ რომ ანგელოზებს ერთხელ მაინც თუ დაეკარგათ ნღობა, იმას ველარასოდეს დაიბრუნებს... ნღობა – ეს იცი რა არის? ნღობა ეს ისეთი რამეა... ნღობა ანგელოზებზე ფაქიზი რამეა, ამიტომ მისი დაკარგვა, დახვევა, ან დაწვა ძალიან ადვილად შეიძლება.. მერე ვითომ მოიგონეს მისი შემცვლელი რაღაცეები – გარიგებები, შეთანხმებები, დადგენილებები, მაგრამ ნღობასთან ისინი მაინც ვერ მოვლენ... რატომ ფუჭდება ასე ადვილად ყველაფერი, რაც ძვირფასია? (**Cafiqrdeba**) ეკ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი შემცვლელი მოვიგონეთ... როცა არ არსებობდნენ შემცვლელები, „ძვირფასებიც“ ძალიან გამძლე და მაგრები იყვნენ... ისეთი მაგრები, რომ ვერც ხმალი და ვერც სიკვდილი ვერაფერს უშავებდათ... ცუდები გავხდით, ძალიან ცუდები... იქნება თქვენ მაინც იკარგოთ... (**raRac gaaxsenda**) სისხლივით თბილია მიწა! სისხლივით თბილია მიწა!.. რა თქვი! არაფერი, არაფერი! გაეშმაკებულმა ანგელოზებმა რაღაცა გამახსენეს და... მეც გავიხსენე! (**adgebra**) მე უნდა გავიდე, ბებიასთან რაღაც საქმე მაქვს... შენ დაიძინე! დაიძინე!

(*papa gadis oTaxidan. Sedis meore oTaxSi; iq mama dgas fanjarasTan, qalebi sxedan*.)

**mama** \_ ხალხს გონია, რომ ქალაქი მათი ცხოვრებით ცხოვრობს!... დგებიან დილით, ჭამენ, ლოცულობენ. მერე მიდიან საშოვარზე. მთელი დღე რაღაცას ჩალიჩობენ. ბრუნდებიან საღამოს სახლში და დალლილ-დაქანცულები ბოლმისაგან სკდებიან თავიანთი დამპალი ცხოვრების შემხედვარე... მათ ჰგონიათ, რომ ქალაქი მათსავით ცხოვრობს!... ამ გრძნობით წყნარდებიან, ეფერებიან ერთმანეთს და ტკბილად იძინებენ!... ისინი ვერ ხვდებიან იმას, რომ ქალაქი დიდი ხანია გაიქცა... საღვაც სხვა განზომილებაში გადავიდა... აქ კი ნაგავი და მტვერი დატოვა!

**deda** \_ შენი სიტყვები არ არის... ყველა ახალი ცივილიზაცია ძველის ნაგავზე და მტვერზე იზრდება!... ჰოდა, იზრდება!

**mama** \_ ბევრი რამე მითქვამს... ბევრი რამე, რაც არ ვიცი!... ადამიანები ყოველთვის იმაზე საუბრობენ, რაც არ იციან... იმას კი, რაც იციან, ივიწყებენ!

**papa** \_ რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო უნდა გაუფრთხილდე ჯანმრთელობას!... (**bebias**) მოდი აქ, საქმე მაქვს შენთან!

(*bebia midis masTan*)

**papa** \_ შენ ხომ იცი?

**bebia** \_ რა ვიცი?

**papa** \_ რაც იცი, და რაც არ უნდა იცოდე!

**bebia** \_ მე ვიცი ის, რაც ვიცი!

**papa** \_ შენ იცი, რაც იცი, რომ არ უნდა იცოდე!

**bebia** \_ ააა, ვიცი-ვიცი!... მე ვიცი, რაც ვიცი, რომ ვიცი!

**papa** \_ შენ ხომ მიხვდი იმას, რაც იცი?

**bebia** \_ მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი!

**papa** \_ ძალიან კარგი... როცა იცი, რაც იცი, რომ იცი და როცა იცი, რომ არაფერი არ იცი!

(*Semodis Zma, is sakmaod mTvralia. koWlobs. papa jdeba savaZelSi. Semodis viRaca*)

**viRaca** \_ თუ ჩაიღებს კაცი ცეცხლს უბეში, ტანისამოსზე წაუკიდებლად? თუ ჩაიღებს კაცი ცეცხლს უბეში, ტანისამოსზე წაუკიდებლად?

(*gadis*).

**Zma** \_ მოვედი!

**bebia** \_ ადრე მოხვედი!

(*Zma ibneva da gaktivrebuli uyurebs saaTs*)

**Zma** \_ (**dabneuli**) წავალ მაშინ და... მერე მოვალ!

**bebia** \_ რატომ?

**papa** \_ დაჯექი, როცა გელაპარაკებიან!... დაჯექი... ფეხზე დგომამ, ომი იცის!... არ გახსოვს ის ფრაზა – ხალხი ფეხზე დადგა! ქულზე კაცი გამოვიდაო და ხალხი ფეხზე დადგაო!... მაინც როგორ უნდა გამოიყვანო ქულზე კაცი?... სასწაული ენაა რა!...

**bebia** \_ ჰოლა დაჯექი!

**Zma** \_ დავჯდე?... რატომ დავჯდე, მე თუ ფეხზე დგომა მინდა, რატომ დავჯდე!... იცით თქვენ, რომ სპილო შეიძლება ფეხზე იდგეს და მაინც მკვდარი იყოს!

**papa** \_ მაშინ იდექი!

**Zma** \_ ვიცი მე, რა გინდათ თქვენ!... ვიდგე, არა, და თქვენ იჯდეთ?... არა, დავჯდები... მითუმეტეს დავჯდები, რადგან უკვე ქანცი გამძვრა!

**mama** \_ (**icinis**) აი კიდეც ხედავთ, რა თქვა?... ხედავთ, ქანცი გამძვრაო!... თუ კარგია, მითხარი, სად გაგძვრა?... სად?...

**Zma** \_ მაგარი გათიშული ვარ და დამანებე თავი!

**deda** \_ (**icinis**) ახლა გათიშული თქვა! გა-თი-შუ-ლი!... აღარ შემიძლია ეს ფოლკლორი! გათიშული რა, ნათურა ხარ?...

**mama** \_ ეს ფოლკლორი კი არა სლენგია!

**Zma** \_ ძალიან ბევრი დავლიე... რაც იყო, ყველაფერი დავლიე!... თანაც რა ქალებში ვიყავი!. გავიდა ჰეე! ეს ცხოვრება აღარ არის!... მთვრალი ვარ და თანაც გახურების მულამზე ვარ!

**deda da mama** \_ (**icinian**) მულამი – გახურება! ბუნარი გახურდა! ქეიფი გახურდა! აგური გახურდა!

**bebia** \_ ბოროტი ღვინო დალიე?

**Zma** \_ არ ვიცი!.. მაგარი გახურების ხასიათზე კი დავდექი!... ბოიშვილი ვიყო!

**bebia** \_ დედა, რეებს ლაპარაკობს?! (**papas**) შეხედე შენი შვილი რეებს ლაპარაკობს!

(*papas eRviZeba, dabneuli aqeT-iqiT ixedeba*)

**papa** \_ რაშია საქმე?... დამეხიზმრა, თითქოს ჩემი შვილი მთვრალი მოვიდა!

**Zma** \_ მაპატიეთ რა... სულ რომ ვთვრები, მაპატიეთ, თორემ ამოგზოცავთ ყველას!... არაფერს შეგარჩენთ!

**papa** \_ რაკი არ შეგვარჩენ, რა გაეწყობა, გაპატიებ!

**bebia** \_ იძულებული ვარ გაპატიო... მაგრამ უფლება მაქვს ჩემი აზრი გამოვთქვა მიმდინარე ვითარების მიმართ!... ამით შენ არღვევ ადამიანის უფლებებს! ჟენევისა და ჰელსინკის კონცეფციების თანახმად... ჩვენ გვაქვს უფლება გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება, შენი არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის მიმართ... მაგრამ, თავს ზევით ძალა არაა და ამიტომ... იძულებული ვარ, გაპატიო!

**Zma** \_ თქვენც მაპატიეთ!

**deda** \_ გაპატიებთ, აბა რას ვიზამთ!... ჩვენ შენსკენ ვიყავით... ოღონდ გვრცხვენოდა ამის ხმამალა თქმა!... რადგან, რადგან... არ ვიცით, რატომ „რადგან“!

**Zma** \_ გზაში მივდიოდი და ვფიქრობდი, რომ... ვფიქრობდი და მივხვდი, რომ მე ვარ!... მე, მე ვარ!... ამ დროს როგორ მინდოდა ვყოფილიყავი... თუნდაც ღონ კისოტის ცხენი... როსინანტი!...

**bebia** \_ დედა?!... ეგ ცხენი ხომ დაკოდილი იყო!

**Zma** \_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს!... მინდოდა!... მინდოდა!... მაგრამ მე მხოლოდ მე ვარ... ეს ისე ადვილია, იყო ის, ვინც ხარ... ღმერთო ჩემო, როგორი ადვილია იყო მტვერი... როცა ხარ ტალახი! ფრთები არასოდეს არ უნდა აწიო ცაში მარტომ!... თორემ ინფარქტი დაგარტყამს!

**papa** \_ ცოტა ხმადაბლა, თუ შეიძლება!

**Zma** \_ ეხლა ხმასაც დაუწიო?!... დამაჯექით არა, სუყველა თავზე!

**bebia** \_ დაგაჯექით კი არა ის!... წადი დაეგდე და დაიძინე!

**Zma** \_ დავეგდო რა, ძალღი ვარ?

**bebia** \_ ვის ებლატავები, ბიჭო შენ... ხომ არ გინდა რქები წაგამტვირო!

**Zma** \_ წყნარად მელაპარაკე, თორემ განანებ ქვეყანაზე რომ გაჩნდი!

**papa** \_ რა ბაზარია, ეს რა არის!... აქ საბლატაოდ ხართ შეკრებილი... თუ საქმის გასარჩევად!...

**deda** \_ თუ ბაზარია, ბაზარი იყოს! თუ შუხური გინდათ ვინმეს, ჩემდათავად უკან დამხვეის დედაც ვატირე!

**Zma** \_ რას იგინები... შენი!

(*Zma iRebs jibidan xelisTiTebiT gakeTebul `pistolets~*).

**Zma** \_ თქვენი აშარაშკა! (*isvris*) ბღში!

**papa** \_ ორანგუტანგს გევხარ, რა!

**Zma** \_ ბღში მეთქი!

(*isvris*)

**papa** \_ დასიებია თვალები! ორმოცი წლის კაცს გევხარ!

**deda** \_ ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, ყველამ!... ყველამ!

**Zma** \_ (*isvris*) ბღში! ბღში! ბღში!

**papa** \_ გაგაბღშებ თუ მოვედი მანდ!

**Zma** \_ ვაა... რა მაგრები ხართ?! ტყვიასაც კი ისხლიტავთ!

**mama** \_ ვაიმე დედა! (*amTqnarebs*) ფეხზე დამდგარს ჩამძინებია! (*icinis*) სუფთა გიჟების ოჯახი დამესიხმრა რა!... რატომ ყვირიხართ, რაშია საქმე?

**Zma** \_ სადაა ჩემი ძმაკაცი, რატომ არ მხვდება?... სადაა მეთქი?

**deda** \_ ვაძინებთ!

**Zma** \_ რა დროს ძილია!... მე და მაგან ახლა უნდა დავიწყოთ ცხოვრება!... მომიყვანეთ ჩემი ძმაკაცი!

**deda** \_ ნუ ყვირიხარ!... ნუ!

**Zma** \_ ვყვირივარ კი არა, ხმამალა ვლაპარაკობ!

**bebia** \_ დაგავიწყდა, გუშინწინ რა მოხდა?

**Zma** \_ მე არაფერი არ მაგიწყდება!... საერთოდ არაფერი!... იცით რატომ?... იმიტომ, რომ ბოროტი კაცი ვარ და ასეთი ვიქნები მთელი ჩემი ცხოვრება!... შეგჭამთ ყველას... ისე როგორც მე მჭამთ სიმთვრალეში!... სადაა მეთქი ჩემი ძმაკაცი... მომიყვანეთ აქ, თორემ გაგიხვრიტავთ ყველას შუბლებს!

**bebia** \_ ჩუმად, ხომ გითხარი იძინებს მეთქი!

**Zma** \_ რატომ აძინებთ ბავშვს ამ დროს?

**deda** \_ დაგავიწყდა?

**Zma** \_ მე არაფერი არ მავეწყდება!... არაფერი!... რა უნდა დამვეწყებოდა?

**mama** \_ ხვალ სკოლაში მიდის!

**Zma** \_ აუჰ! მართლა?... მერე თქვე უნამუსოებო, მე უნდა მიხურებდეთ?... იცით დღეს რატომ დავთვე-ერი?... იმიტომ, რომ ჩემი პირველი ძმაკაცი, ხვალ პირველად მიდის სკოლაში... ასეთ დროს თქვენ უნდა მეჩხუბებოდეთ?... დედა, დედიკო, რატომ ხარ ასეთი გულქვა... რატომ არ გიყვარს შენი უძეგროსი ხეიბარი ვაჟი?... მითხარი, ჩემო დედიკო, აა?

**bebia** \_ ამას დაავიწყდა, რაც გუშინწინ მოხდა!... გაიწიე! ფუჰ, პირიდან საშინელი სუნი ამოგდის!

**Zma** \_ მე ეს სუნი ბავშვობიდან ამომდის, ბოიშვილი ვიყო!... რომ დავიბადე, უკვე ეს სუნი ამდიოდა... ეს სუნია ჩემი სპეციფიკი... სპეციფიკური სუნი! ბოიშვილი ვიყო!... ზოგს სუნამოს სუნი ასდის... ზოგს ყვე...ველის... ზოგს ნივრის... მე ამდის ღვინის სუნი და იცოდეთ, ეს ყველამ!... ესაა ჩემი „რადნი“ სუნი... ბოიშვილი ვიყო!

*(marjevna kuTxidan gamoCndeba `viRaca~, is swrafi nabijiT miuaxlovdeba Zmas da silas awnis)*

**viRaca** \_ ჩათლახის ერთო!... ნაცემის ჭრილობა მოაქცევს უკუღმართს და დარტყმები განწმენდს მის შიგანს!...

*(`viRaca~ iseve swrafad gadis, rogorc Semodis, mas veravin amCnevs Zmis meti)*

**Zma** \_ რატომ დამარტყი ხელი!... რატომ?... **(bebias)** რატომ დამარტყი ხელი?... შენ ჩემი ერთადერთი დედიკო ხარ და რატომ მირტყამ, რატომ?... ბოიშვილი ვიყო?

**bebia** \_ შენ ხომ არ გააფრინე, ჰა?... გუშინწინაც იგივეს არ აკეთებდა?!

**Zma** \_ დედა, ნუ მაგაფებ! იცოდე მე თქვენი არ მემინია, კიდე დამარტყამ ხელს და არ ვიცი, რას ვი-ზამ! ბოიშვილი ვიყო, ამოგზოცავთ ყველას!

**papa** \_ ვაიმე დედა?!

*(Semodis `viRaca~, uaxlovdeba Zmas da mis perangze cxvirs iwmdav. Semdeg siciliT gadis).*

**viRaca** \_ არის გზა, კაცს რომ სწორი ჰგონია, მაგრამ მის ბოლოში მაინც სიკვდილია!

**Zma** \_ გავაფრენ, ბოიშვილი ვიყო, გავაფრენ!

**bebia** \_ სად ისწავლე ეგ სიტყვა, ყოველ წამს რომ ამოარწყვე პირიდან!

*(Zma gaognebuli jer oTaxis erT mxares akvirdeba, mere meores. bolos dedasTan midis).*

**Zma** \_ დედა... დედიკო!. ჩემო ერთადერთო დედიკო!... მიდი რა, სიგარეტი მომიტანე?... ნუ მიყურებ ასე, დედიკო, ძალიან მეშინია... მიდი, რა მომიტანე, ხომ ვიცი, რომ გაქვს?

**bebia** \_ შენ მომიტანე რაიმე, მე რომ მოგიტანო?

**Zma** \_ თქვენ ხომ არ იცით!... დედა, როცა მე სხვაგან ვარ... იცოდე რა, რომ მე ძაან სხვაგანა ვარ, რა?...**(CurCuliT)** სადაა ჩემი ძმაკაცი, სად?

**deda** \_ ხომ გითხრეს აძინებენ! აძინებენ!

**ZMA** \_ რატომ აძინებენ?

**bebia** \_ იმიტომ რომ სკოლაში მიყავთ!

**Zma** \_ **(icinis)** აძინებენ იმიტომ, რომ ხვალ სკოლაში მიყავთ!... აძინებენ იმიტომ, რომ მიყავთ!... ჩვენ როცა გვაძინებენ, სად მივყავართ, სად?

**bebia** \_ სიკვდილში და არგადარჩენაში!

**Zma** \_ თქვენ ხომ აზრზე არა ხართ რა ქალებში ვიყავი?!... აუ, გაგიჟდებით, რა, ბოიშვილი ვიყო!... დედიკო, მიდი რა, მომეცი სიგარეტი?

**bebia** \_ არა მაქვს! არა მაქვს! არა მაქვს!

**Zma** \_ დედა ძალიან გთხოვ, ნუ მიყვირიხარ, რა?! მე სუსტი ნერვები და ოფლიანი ილღები მაქვს! ქე-რტლიც და კარიესიც მაქვს! გეხვეწები, ნუ მიყვირიხარ... თორემ ისეთს გიყვირებ! მომაწვეინეთ სიგარეტი?

**bebia** \_ კი მოგაწვეინებ, მაგრამ ხვალ?... ხვალ რაღას მოწვევ, როცა აღარაფერი გექნება!

**Zma** \_ ხვალ?... ვინ გითხრა, რომ ხვალ არსებობს, არსებობს მხოლოდ გუშინ და დღეს!... „ხვალ“ – ეს წმინდანების ხვედრია! ეს „ხვალე“ რომ არსებობდეს?... რო არსებობდეს, დედას გეფიცები, მე შე-ვძლებდი შეუძლებელს... ბოიშვილი ვიყო, შეუძლებელს შევძლებდი!

**bebia** \_ ვიცი, რომ შეძლებდი... შენ ჩემს დახრჩობასაც შეძლებდი!

**Zma** \_ **(icinis)** დედიკო, არც ისე ადვილია საქმის ბოლომდე მიყვანა!... დაწყნარდით ხალხო... იცოდეთ, რომ მე თქვენ ხანდახან კი არა, სულ მეზიზღებით!... მუდამ!... ღმერთო ჩემო!. ვბოდავ მაშინ, როცა

სიმართლის თქმა მინდა და როცა სიცრუეს ვლაპარაკობ, ლოგიკურად ვმსჯელობ!... დედა, იცი რამდენი თვალი აქვს ობობას?... ოცდაოთხი თვალი!. ოცდაოთხი თვალი აქვს იმ დალოცვილს და მსხვერპლის მეტს ვერაფერს ხედავს... ჩვენ ორი თვალით რა უნდა დავინახოთ?...

(Semodis `viRaca~. is nela miabijebz scenaze)

**viRaca** \_ ცა და მიწა გაყოფილია, მაგრამ ორივე ერთ საქმეს აკეთებს!... ცა და მიწა გაყოფილია, მაგრამ ორივე ერთ საქმეს აკეთებს! (გადის).

**Zma** \_ დედა-დედიკო... გახსოვს რამხელა ხელები გქონდა... ხელები კი არა ხორცის და სითბოს ორი დიდ ფარდა... როცა შემომხვევდი მათ. ეგ იყო ჩემთვის ყველაზე მყუდრო და უსაფრთხო ადგილი!... სად გაქრა დედიკო შენი ხელები?... სად?

**bebia** \_ ნუ გეშინია, მე არ მომკვდარვარ... უფრო ძლიერი გავხდი!

**Zma** \_ დედა, ხანდახან მგონია, რომ არასოდეს გამეღვიძება! მძინავს და რაღაც სისუღელებს ვხედავ!

**bebia** \_ პატარა როცა იყავი... ყველაფერს კიდებდი ხელს... ერთხელ ქუჩაში დაგდებული ფული იპოვნე, აიღე და ჩემთან გამოიქეცი!... მე ძალიან გაგიჯავრდი, გიყვირე – ხომ გითხარი, ფულს ხელი არ მოკიდო მეთქი?... ფული ჭუჭყიანია მეთქი?... შენ კი ტიროდი და მეუბნებოდი – დედა, დედიკო... ფული თუ ჭუჭყიანია, მაშინ რატომაა, რომ ადამიანები მის გარეშე ვერ ცხოვრობენო?... გახსოვს?!

**Zma** \_ მახსოვს!... გახსოვს, შენ რა მითხარი?

**bebia** \_ არა!

**Zma** \_ ფულით ადამიანები საზრდოს ყიდულობენო!... საზრდოს გარეშე კი ბავშვები არ იზრდებიანო!... დედა, როგორ ფიქრობ, იმის მერე ჩვენ გავიზარდეთ?

**bebia** \_ არ ვიცი!

**Zma** \_ ადამიანები ბედნიერები არიან იმიტომ, რომ არაფერი არ იციან!

**bebia** \_ (**TavisTvis**) საზრდოს გარეშე კი ბავშვები არ იზრდებიან!

**Zma** \_ უცებ რაღაცა მოხდა ჩვენთან... ჩვენში!.. რა მოხდა? მითხარი, რა მოხდა ისეთი?

**bebia** \_ საშლელის ყიდვა დაგვაავიწყდა!... როცა ადამიანი იხელება უფსკრულში... მას ეშინია სიმაღლის და ის თავს არ იკლავს!

**Zma** \_ ვიცი! ვიცი!

**bebia** \_ კარგია, როცა იცი... უკეთესი იქნება, როცა იგრძნობ!

(*cota xans pauzaa*)

**Zma** \_ (**icinis**) ეჭ დედა-დედა... ფეხებზე დაიკიდე და გულზე მოგემევა!... არ მეცოდებიან მკვდრები, მე მათი მშურს!... მეცოდებიან მომაკვდავები!... თქვა მან და ცაში კამარა შეჰჰჰჰკრა!

**bebia** \_ როგორ გბუღს ყველა!

**mama** \_ რა მოხდა?

**Zma** \_ დღეს როცა ვსვამდით...

**mama** \_ აბა ქალებში ვიყავი!

**Zma** \_ ქალებში მანამდე ვიყავი...

**mama** \_ აა, მანამდე... გასაგებია!

**Zma** \_ როცა ვსვამდით... ერთი ტიპი წამოდგა და თქვა. (**TamaSobs**) ხუთ წელზე მეტია ვეძებდით უკან დასაბრუნებელ გზას, ახლა კი აღარც გვახსოვს, საიდან მოვედით!... მოდი ჩვენს დედა სამშობლოს გაუმარჯოსო... რომელსაც ისე ვეკაიფებით, როგორც ვიმსახურებთო!... ჩვენს სამშობლოში ჯარისკაცები არავის სჭირდება, მშობლების გარდაო... მაგრა ვიცინეთ რა, ძალიან მაგრა!.. ლამის ჩავბჭირდით!

**mama** \_ მერე?

**Zma** \_ გაიგე... მე არა ვარ ის კაცი, ვისი კანიც მაცვია!... მე სხვა ვარ! სხვა!

**mama** \_ ვინ სხვა?

**Zma** \_ (**yviris**) ჰუმანოიდი ვარ! ჰომანოიდი! ჰუ-მან-ო-ი-დი!.. ხომ მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა?

**mama** \_ ვერა!... ვერაფერს მიგიხვდი!

**deda** \_ გაჩერდით ბოლოს და ბოლოს, გაჩუმიდით!...

**bebia** \_ ფული საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანებმა საზრდო მიიღონ!

**Zma** \_ არანორმალური დროა!... ხანდახან მგონია, რომ დროს კიბო დაემართა და კვდება!... დედა, სიგარეტი მინდა!

**papa** \_ ისევ დაიწყო!... ისევ დაიწყო! გული მაქვს ცუდად!

**mama** \_ არ არსებობს სიბრძნე... არ არსებობს ცოდნა... არ არსებობს რჩევა უფლის პირისპირ...  
კბილებამდე შეიარაღებულიც რომ იყო... შველა მაინც უფლისგან მოდის!

**bebia** \_ არა, არა, არა!... არ მინდა არაფერი!

**papa** \_ არა, არა, არა! მიშველეთ ხალხო... გული გამიხდა ისევ ცუდად!... „არა“ - ეს ყველაზე გრძელი სიტყვაა... „ჰო“-ზე გრძელია!

**mama** \_ წყალი!... წყალი მოიტანეთ... ჭკვიანი ეძებს იქ, სადაც არის... სულელი - იქ, სადაც იყო!

**deda** \_ საფეთქლები დაუზილეთ!... ღმერთო ჩემო!

**bebia** \_ ვალიდოლი!... ვალიდოლი!... ჩვენ ვკლავთ ერთმანეთს იმიტომ, რომ ეს გვასწავლეს... ყველა გვკლავს და ყველას ვკლავთ!

**papa** \_ ვინ ლაპარაკობს სიკვდილზე?... მე არ მომკვდარვარ!... მე უფრო ძლიერი გავხდი!

**Zma** \_ სასწრაფის ხომ არ გამოვუძახო?... სასწრაფოს?... სულელურად ჯიუტი, ჯიუტად სულელი!...

(*Zma gadis oTaxidan.*)

**papa** \_ (**RiRinebs**) თქვენი იყოს, წაიღეთ, სამოთხეც და ედემიც!... მთვრალი, თუნდაც, ჯოჯოხეთში წავალ!... თქვენი იყოს, წაიღეთ, სამოთხეც და ედემიც...

**deda** \_ რას ამბობს?

**bebia** \_ მღერის!... მღერის!... ღმერთო ჩემო, როგორ შეგვაშინე!.. როგორ!

**papa** \_ შიში კარგი გრძნობაა... შიში სასწორივითაა, მასზე იწონება ჩვენი გრძნობები!

**mama** \_ ჩემი ძმა სად გაქრა?

**deda** \_ (**gabrazebuli**) შენ არ შეუშვი შენს შვილთან?..

**mama** \_ ჰო, სულ ამომივარდა თავიდან!... (**papas**) აწი ასე ნუ იზამ!

**papa** \_ ჰო, აღარ ვიზამ!.. ძალიან კი მომაწვა!... რაღაცას ვფიქრობდი ჩემთვის და... უცებ, აი აქ, ყელში გამეჭვდა... სუნთქვაც კი აღარ შემეძლო!

**bebia** \_ დალიე ალბათ დღეს?

**papa** \_ არაფერი დამილევია... ორ ცალი „ბონჩიკი“ ვჭამე და ერთი ბოთლი „პივა“ დავაყოლე... ეს იყო და ეს!

**deda** \_ სიგარეტი?

**papa** \_ „სიგარეტი ეტა ვრედა“... რა ვქნა, რომ არ მოვწიო, იქ ბაზარში გამიკვდება გული... ვეწევი და სახლში მისკდება!

**mama** \_ რას ნერვიულობ შენც!... დაიკიდე ფეხებზე...

**papa** \_ უსინდისო ვიყო?!

**mama** \_ რატომ უსინდისო?... არ უნდა იყო უსინდისო!... მაგრამ ფეხებზე უნდა გეკიდოს ყველაფერი!... ყველა ასე აკეთებს ახლა!

**papa** \_ ყველა მასე რომ აკეთებს, იმიტომაა, რომ...

**mama** \_ ჯერ ამდენი ხანი ვეძებთ უკან დასაბრუნებელი გზა და ახლა აღარც კი გვასხოვს, საიდან მოვედით!...

**bebia** \_ (**mamas**) აცალე, კაცო, კაცს!... ძლივს საიქიოდან მოვაბრუნეთ და შენი ნერვების აშლა უნდა ახლა?!

**mama** \_ ო, დაიწყებთ ისევ თქვენებურს!

**bebia** \_ (**TavisTvis**) ჯიუტად სულელი – ან სულელურად ჯიუტი ხარ!

(*oTaxi bneldeba, naTdeba saZinebeli, sadac Zma iatakze wevs.*)

**Zma** \_ „ბრატიშკა“, ხომ არ გძინავს?... არა?... მიდინარ არა ხვალ სკოლაში?... „იასნია! მიდინარ!... მე წამოგყვე?... არა, მე ვერ წამოგყვები, მაგრამ აუცილებლად შენთან გავჩნდები, თუ რაიმე გაგიჭირდა... ხომ იცი, როგორ მიყვარხარ!... ზღაპარი მოგიყვე?... ზღაპარი ჯიბეში მელო... თუ ვიპოვნე, აუცილებლად მოგიყვები... უი, აგერ არ ყოფილა!... მითხარი ერთი, უკვე დიდი კაცი ხარ, დღეს თუ ხვალ „ნაშებში“ უნდა წავიყვანო და... არ გრცხვენია, ზღაპრებს რომ მაყოლებ?... „ნაშებში“ რა უნდა გააკეთო?... რა ვიცი, უნდა დაჯდეთ ერთად და იცინოთ!... ახლოს მოვიდე?... იცი როგორი აყროლებული ვარ ღვინით... ახლოს ვერ მოვალ, მრცხვენია!... ვერ მოვიწევი, იმიტომ რომ აგაყროლებ!... ჰო, ვინც უყვართ, იმას არ აყროლებენ!... იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი

მწყალობელი... ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ადამიანმა ამ დროის თვლა თუ დაიწყო, წელში მოიკაკება დალლილობისაგან და ტუჩებით თავისი ჩრდილის ყურს შეეხება... იმიტომ შეეხება, რომ თავისი ცხოვრების ზღაპარი მოუყვეს!... ცხოვრობდა იმ დროში ერთი კაცი, რომელსაც დიდი თავი და ზედმეტი ტვინი ჰქონდა... უყვარდა ამ კაცს ხის ძირში წოლა და ფიქრი. ფიქრით კი ძალიან ბევრს ფიქრობდა, ოღონდ მხოლოდ ერთ რამეზე – თუ სად და როგორ წაელო ამდენი ტვინი, ისე რომ ის ყველგან, მთელს სხეულში თანაბრად განაწილებულიყო. რადგან ამ კაცს ტვინი მარტო თავში ჰქონდა, სიარულის დროს სუსტი კისერი ძალიან ტკიოდა... იმ დროს ადამიანებს ყველგან ტვინი თანაბრად ჰქონდათ განაწილებული – ზურგშიც, ძვლებშიც, ხელ-ფეხშიც, გულშიც... და მენ წარმოიდგინე – კუჭშიც კი... ამის გამო, იმ დროს ადამიანები არც მსუქნები იყვნენ და არც გამხდრები, არც კუნთა გომები... და არც ქლაჩუნები, არც უტვინოები და არც გადატვინებულები. მაშინ ადამიანები ნორმალური, კეთილშობილი და თავმდაბალი არსებები იყვნენ... ამ კაცს კი ტვინი მარტო თავში ჰქონდა – ამის გამო – უმაღლაც აწუხებდა, უღონობაც, უგულობაც, უსისხლობაც და უჯივრობაც... რის გამოც ის ძალიან გულჩათხრობილი დადიოდა... ჰოდა, ჩემო ბატონო, იწვა ის კაცი მიწურინისეული ვაშლის ძირში და ფიქრობდა-ფიქრობდა-ფიქრობდა... ამ ფიქრში დრო გადიოდა... და მასაც ჩაეძინა... ძინავს ამ „მასტს“ და ხედავს მწვანე სიზმარს... ისეთს რა, გულჩათხრობილები რომ ხედავენ – ნადველისფერს... ცუდ სიზმარს ხედავს, რა... თითქოს ჯორია და ტლინკებს იქნევს... ამ დროს – ბა-ბახს!... არ მოხვდა ამ კაცს თავში უზარმაზარი ვაშლი?!... აი, ამხელა, ვაშლისხიდან ჩამოვარდა და ზედ თავზე დაეცა!... ესეც მოულოდნელობისაგან ელდანაკრავივით წამოვარდა და ისეთი იბღავლა, რომ დანაჩენი ვაშლებიც ჩამოცვივდნენ ხიდან... ეს „ჩემისა“ ისე სწრაფად წამოხტა, რომ მთელი ტვინი, რომელიც მარტო თავში ჰქონდა დაგროვებული... მკვეთრი მოძრაობისაგან... ანუ შიშისაგან, აქედან... ტაკოში ჩაუსრიალდა!... აბა!... თავი უცებ დაუპატარავდა, ტაკო კი გაუფართოვდა!... კისერი კი აღარ ტკიოდა, მაგრამ ამის მერე ფეხები ეკეცებოდა!... რა უნდა ექნა?... დაიწყო ამ „მასტმა“ ამის მერე ტაკოთი ფიქრი!... ძალიან ბრაზიანი და გულჩათხრობილი გახდა!... მოკლედ, ძალიან ამჟავდა!... აბა წარმოიდგინე, ადრე როცა ტვინი მხოლოდ თავში ჰქონდა, ყველა დიდთავას ეძახოდა, ეხლა კი როცა თავში არაფერი, ხოლო ტაკოში ყველაფერი ჰქონდა, რას დაუძახებდნენ... აბა! დღისით-შინისით აყენებდნენ შეურაცხყოფას!... მორალურსაც და ფიზიკურსაც!... ხომ იცი, დღისით ყოველთვის მნელია შეურაცხყოფის ატანა... ღამით კიდე არა უშავს, ღამით დღეს ძინავს, ამიტომ... დღისით ყველაფერს ყველაფერი ესმის!... აბა?!... ჰოდა დადიოდა, ეს ასე ვთქვათ... დაბოლმილი და აკუ-აცუე-ბდა!... ანუ ფიქრობდა!... იმიტომ, რომ როცა თავით ფიქრობ, გეფხანება, როცა პირით ფიქრობ – ნერწყვი მოგდის. როცა კუნთებით ფიქრობ – ოფლი მოგდის... ჰოდა, როცა ტრაკით ფიქრობ – იძულებული ხარ აკუ-აცუო!... ფიქრობდა ეს ბედოვლათი, ფიქრობდა, ფიქრობდა – სულ იმ ვაშლის დაცემაზე ფიქრობდა... და ბოლოს მოიფიქრა, რომ ყველაფერი, განსაკუთრებით კი ადამიანები, რა სიმაღლიდანაც არ უნდა ჩამოვარდნენ, აუცილებლად დაეცემიან მიწაზე... და თანაც ძალიან მტკივნეულად... ისე მტკივნეულად, რომ თუ არ მოკვდნენ... აუცილებლად დასახინდებიან მაინც!... ადამიანებმა კი მას არ დაუჯერეს და დაცინვა დაუწყეს... რადგან იმ დროს ისინი, რანაირი სიმაღლიდანაც არ უნდა გადმოვარდნილიყვნენ, აუცილებლად ჩავარდებოდნენ მეგობრის ხელებში თუ არა, ვინმე უცხო, კეთილისმსურველის მკლავებში მაინც!... რომელიც აუცილებლად წამოაყენებდა, გაასუფთავებდა, მოეფერებოდა, ხელს გაუმართავდა და სწორ გზაზეც დააყენებდა!... იმ დროს, ორმოში, ტალახში, უფსკრულში და ციხეში არავინ არ ვარდებოდა... გაიგე „ბრატიშკა“... ესეთი კარგი ხალხი ცხოვრობდა მაშინ, სანამ ის დიდ-იმისთანა „გაიჩითებოდა“!... ჰოდა... რას გიყვებოდი?... ჰო! ეს ისეთი „ნასტირნი“ ვინმე გამოდგა, ისეთი „ნასტირნი“, რომ რამდენიმე ადამიანი მაინც დაარწმუნა და დაიყოლია ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად... ესენიც მაგარი უცნაური ტიპები გახდნენ... როგორც კი აყვნენ ამ დიდტრაკას, ერთი – ცივთვალეზად იქცა, მეორე – ფეხმრუდად, მესამე კი – ორგულად... იმ დროს, როგორც გითხარი, ისეთი სიტყვები – დაცემა, დახეთქება, დავარდნა არ არსებობდა... მაშინ ყველაფერზე „ფრენას“ ამბობდნენ – მე გაფრინდი მასთან!... ისინი ერთად დაფრინავენ!... ის ამოფრინდა ჩემთან!... მე უცაბედად ჩავფრინდი დაბლა!... ის ჩამოფრინდა ხელებში!... სულ ასე ფრენა-ფრენით ცხოვრობდნენ... ეს სამი ტიპი, უნდა ასულიყვნენ მთაზე და იქიდან გადმოფრენილიყვნენ... ავიდნენ და გადმოფრინდნენ კიდეც!... ამ დიდ-იმისთანამ კი დაბლა მდგომები დაარწმუნა, რომ არავის არ შეეშვირა მათთვის ხელები, – ამას მე თვითონაც კარგად გავაკეთებო!... ხალხმაც თქვა – კარგიო! და საყურებლად დაჯდა... ჰოდა „ბრატიშკა“ – ამ ცივთვალეზამ, ფეხმრუდამ და ორგულმაც ჩაჭიდეს ერთმანეთს ხელი და უფსკრულში გადაემუნენ... მიწაზე დაეხეთქნენ და ეგრევე „დაიბრინდნენ“... მათ ხელი ვერავინ შეაშველა და იმიტომ... დიდ-იმისთანანს კი, რადგან ტვინი არც ხელებში, არც ფეხებში და არც გულში არ ჰქონდა, იმას ხომ არ შეუშვერდა, რაშიც ჰქონდა!... ის ძალიან უფროსხილდებოდა თავის იმას!... რაშიც ტვინი გაქვს, იმას აშველებ გაჭირვებულს და თუ არ გაქვს, რას შეაშველებ. ვინმეს რამე რომ შეაშველო, სურვილი უნდა გქონდეს, სურვილს კი ცოტა ჭკუაც ჭირდება და არა მარტო ერთ ადგილას!... ადამიანმა – ადამიანს რომ დაეხმარო, ტვინი ყველგან ნორმალურად უნდა გქონდეს განაწილებული... ტვინს და ჭკუ-

ას კი თანაბრად მარტო სიყვარული ანაწილებს... სიყვარულის გარეშე კი... ან დიდთავა ხარ, ან დიდტრ-აკა... გაიგე ძმაო!... ჰოდა ამიტომ ხვალ სკოლაში რომ წახვალ, მარტო თავის, ან ტაკოს იმედი ნუ გექნება!... ვის რა მოუვიდა?... აა, იმ დიდმისთანას?... რა უნდა მოსვლოდა, მისი შვილები ეხლა ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ... ამიტომ სანამ ვინმეს დაუშვებოდა, კარგად დაუკვირდი, ვინ არის... როგორ უნდა გაიგო და... უნდა გაუზომო! მაგის საზომი მე მაქვს!... ცოტა რომ გაიზრდები, შენც გექნება დიდი თავების და დიდი ტაკოების საზომი!... არა, ყველას არა აქვს ასეთი საზომი, ზოგმა დაკარგა, ზოგმა კი გადააგდო! რატომ?... ეექვ, ცოტა მძიმე შესანახია ეგ დალოცვილი... მაგ საზომით ცხოვრება უფრო ძნელია, ვიდრე უსაზომოდ. (**amTqnarebs**) დაიძინე ახლა! მე უნდა გავიდე!... არა, ვერ გაკოცებ... არ მინდა აგაყროლო! ჰო, ვინც უყვართ, იმათ არ აყროლებენ! (**ugzavnis haerovan kocnas**) კეთილი ანგელოზები!

(*Zma gamodis saZiledan da Sedis meore oTaxSi*)

**papa** \_ როცა სული მშვიდად გაქვს, არ იცი ირგვლივ რა ხდება!

**mama** \_ ყველაფერი აფსურდია, იმის გარდა, რაც ჩვენს სულში ხდება!

**papa** \_ ცხელ ქვაბში არაა ცივი ადვილი!

**deda** \_ ნუ წუწუნებთ!.. ცოცხლები დაერჩით და ესე იგი გვაქვს არჩევანის საშუალება... მკვდრებმა იკითხონ, თორემ ჩვენ რაღაც მაინც გვეშველება!..

**papa** \_ (**TavisTvis**) თქვენთვის ადვილია მაგის თქმა!

**mama** \_ შენთვის რატომ არაა ადვილი?

**bebia** \_ მოდით რა, სხვა თემაზე ვილაპარაკოთ!

**deda** \_ ჰო, მართლა! ჯობია... თორემ დაიწყება, მე ის გავაკეთე.. შენ ეს!.. წაგებული ომის მერე გმობაზე ნუ იტრაბახებთ, არავინ დაგიფასებთ.

**papa** \_ (**iRimeba**) გმობა?!.. ვინ იცის, რა არის ნამდვილი გმობა!

**Zma** \_ იცით რა მომწონს თქვენს ლაპარაკებში? ის რომ ეს ლა-პა-რა-კე-ბი არასოდეს არ მეორდება, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე თემის გარშემო ტრიალებს, ბურღივით!.. სადაცაა დავალთ იმ ძარღვ-ამდე, რომელიც სიმართლეზე აგვაბლავლებინებს!..

**deda** \_ დაიძინა?

**Zma** \_ ალბათ!.. დარწმუნებული ხარ, რომ შენ არ გძინავს?

**deda** \_ სქელი ნისლი ვერ დაფარავს ყვავილების სურნელს!.. გაიგე?..

**mama** \_ მაინც შევალ!.. მეც მინდა დავხედო!

**Zma** \_ მშია?!.. ვერსად ვერ გავძეხი!.. ძალიან მშია!

**deda** \_ რატომ?.. სადაც გაჭმევდნენ იქ ცუდად ჭამე, თუ აღარ გაჭამეს?

**Zma** \_ გაჩერდი, თორემ გიკბენ!

**bebia** \_ სად გახდი ასეთი მადიანი?

**Zma** \_ მოკლედ ჭამადა ვარ გადაქცეული!.. ეხლა ჩემი სახელოცა ჭამს, ისეთ ასაკში ვარ!.. ისე მიხარია სახლში მოსვლა... თქვენ აქ მხვდებით... ისე მიხარია, რომ ამ სიამოვნების გულისათვის თანახმა ვარ... ყელამდე ნეხვში ვცურავდე და თანაც პირდაღებული – ოღონდ ვიცოდე, რომ საღამოს ამოვძვრები ამ მყრალი ორმოდან, მოვალ აქ, ამ ოჯახური სიმყურდოვის ტაძარში... ჩვენებთან!.. სადაც დამხვდება გა-დაშლილი გულები, თბილი ურთიერთობები და გაცისკროვნებული სახეები... ღმერთო ჩემო, თქვენ ხომ არ იცით, მე რას ვაკეთებ სინამდვილეში?

**papa** \_ რას აკეთებ ისეთს, რასაც ყოველი ადამიანი არ აკეთებს?

**Zma** \_ არსებობს ასეთი ამაზრზენი სიტყვა – ყველაფ-ე-რი!.. გაგივიათ ალბათ... ან ლექსიკონებში შეგხვედრიათ... რაც უნდა მეზიზღებოდეს, ყველაფერს ვაკეთებ!.. ისეთი ენთუზიაზმით ვაკეთებ, რომ..

**papa** \_ შენ ალბათ სხვა ცხოვრება გინდოდა! – ათასი დოლარი ჯიბეში – ყოველდღე!..

დაბინდულმინებიანი „პიპია“!.. კარგი „ზმანები“.. მაპატიე, შვილო, რომ ვერ შეგიქმენი ესეთი ნათელი მო-მავალი!.. როგორ მეცოდები, როგორ!.. ღმერთო ჩემო, გიყურებ და ვხედავ ჩემს დანაშაულს, როგორ დაგჩ-აგრა ცხოვრებამ... არავინ გყავს, რომ ფეხის ფრჩხილები მოგიქნას?.. არავინ გყავს, რომ თვალებიდან წვინტლები ამოგწმინდოს... არავინ გყავს, რომ მოსასაქმებლად გადაგაყენოს!

**Zma** \_ დიხაც, არავინ მყავს!.. შენ თუ გგონია, ყოველ მაგ მაღლს არ ვიმსახურებ, ძალიანაც ცდები!

**bebia** \_ თავი შეიკავეთ, ძალიან გთხოვთ!

**papa** \_ თავი შევიკავოთ?.. აჰა, მიკავია თავი!.. ორივე ხელით მიკავია!

**bebia** \_ ყური დამიგდეთ!



**Zma** \_ ვერა, დედა, ყურს ნამდვილად ვერ დაგიგდებ! ორი ყური მაქვს და ნახევარი მაინც რომ დაგიგდო... დავმახინჯდები!...

**papa** \_ მონას სიტყვებით ვერ გაწვრთნი... რადგან გისმენს, მაგრამ არ გიჯერებს!

**bebia** \_ აღამიანო!

**Zma** \_ აღამიანს არა აქვს სქესი!... სქესი აქვს ქალს და კაცს!... მე კაცი ვარ!

**papa** \_ კახპებთან წოწილით ამტკიცებ შენს კაცობას?

**Zma** \_ ოო! მამა, აი თურმე რა გაწუხებს... გინდა შენც წაგიყვან!... ერთად გავგულავდეთ! ერთად!

**bebia** \_ (**papas**) ხომ შემპირდი, რომ აღარ ვეჩხუბებო, ხომ შემპირდი... ჩემი სიკვდილი გინდა?

**papa** \_ მე მინდა?... მე მინდა?... ხომ გითხარი არავინ გვაპატიებს მეთქი, ხომ გითხარი!... არც ისინი, ვინც გაიგებს, და არც ისინი, ვინც ვერ გაიგებს მეთქი!... შენი ბრალია ყველაფერი!... მე კი არ მოგკალი!... თქვენ ყველამ მე მომკალით! მეე!

**Zma** \_ მაინც რაზეა ბაზარი?... რის გაგება-პატიებაზეა ბაზარი?...

**deda** \_ ხვალ რაღაც კარგი უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში... ამდენი ხანია არაფერი კარგი არ მომხდარა და მეგონა, რომ არც მოხდებოდა!... და... როგორმე ამოთხვარეთ, გააბინძურეთ, დაანერწყვეთ ზედ! თქვენ ხომ მეტი არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ!... მეტი არაფრის! მაინც რითი ხართ გაჟღენთილი, რითი?

**papa** \_ რითი და სისხლით!... იცი რა არის სისხლი?

**bebia** \_ გაჩერდი!... გაჩერდი, არ დამღუპო! გაჩერდი, მუხლებზე დაგიჩოქებ, ოღონდ გაჩერდი!

(*Camovardeba siCume. yvela papas da bebias uyurebs.*)

**Zma** \_ რა ამაზრუნენები ვართ ყველა! ამაზრუნენები... მაგრამ მაინც მიყვარხართ! ძალიან მიყვარხართ!... ძალიან, ძალიან, ძალიან!... ჩემი ძალიან ქართველი დედა ვატირე!

**papa** \_ (**Zmas**) ადექი, დამსვი!

**Zma** \_ რატომ უნდა დავსვა... რა, მე ცუდად ვზივარ?!... წადი რა, სხვაგან დაჯექი!

**papa** \_ დამსვი რომ გეუბნები, ხომ იცი მანდ მიყვარს ჯდომა!... დამსვი!

**Zma** \_ ვისი საჯდომია ეს? ვისია? ვაა, ჩემი ყოფილა! ჰოდა, ეს საჯდომი თუ ჩემია, მაშინ ეს ადგილიც სადაც ეს საჯდომი დევს, ჩემი იქნება! და ძალიან გთხოვთ, გაიწიეთ... პერსპექტივას ნუ მიფარავთ!

**papa** \_ მე მგონი ვერ არის თავის "მოტორზე?"

**Zma** \_ ჰო, ვერა ვარ... თანაც "აკუმულატორი" დამიჯდა!

(*isini eWidavebian erTmaneTs. bolos papa wamoagdebs Zmas da TviTon dajdeba.*)

**papa** \_ ბებერი ხარის რქაც ხნავსო!

**Zma** \_ გემრიელი კაცი ხარ, მამა, რომ გიყურებ, ნერწყვი მომდის!... ჩემი ძალიან ქართველი დედა ვატირე!

**papa** \_ ამ ადგილისათვის მე იმდენი რამე ვჭამე!... შენსავით კი არ ვწუწუნებ! წუნაწუნა!

**Zma** \_ ასი წელი!... კიდევ ასი წელი იცოცხლე და იჯექი მაგ ნაჭამ ადგილას!

**papa** \_ გაჩუმდი, თორემ მოგხვდება!

**Zma** \_ ექვსი წლის რომ ვიყო, ძალიან შემეშინდებოდა შენი!...

**papa** \_ შენ არა ხარ ჩემი შვილი!...

**Zma** \_ არა!... ეს შენ არა ხარ მამაჩემი!

**papa** \_ დაჭრილი ბიჭი გადაიქეცი ბოროტ კაცად!... საიდანა გაქვს ამდენი სიძულვილი?

**Zma** \_ (**icinis**) მე მაქვს!... მეე!.. თქვენ თვითონ ვერ პატიობთ რაღაცას საკუთარ თავს და ჩვენზე ანთხევთ!... და მე მაქვს სიძულვილი!..

**papa** \_ რომ იცოდე, შვილო, სიძულვილი რა ტკბილი გრძნობაა!

(*oTaxi bneldeba, naTdeba saZile, sadac mama muxlebze damdgari dgas da loculobs*)

**mama** \_ „უფალმან მმწყესოს მე და მე არაი მაკლდეს. ადგილსა მწუანილსა მუნ დამამკვიდრა მე; წყალთა ზედა განსასვენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდრე ილათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ, კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან - ამათ ნუგეშანის მცეს მე! განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლათა, წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთით თავი ჩემი და სასუმელმან შენმ-

ან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან. წყალობაი შენი, უფალო, თანა-მავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა... ამინ.

*(naTdeba oTaxi. saZiledan mama gamodis.)*

**bebia** \_ დაჭრილი ბიჭი გადაიქეცი ბოროტ კაცად!... საიდანა გაქვს ამდენი სიძულვილი?

**Zma** \_ რომ იცოდე, დედა, სიძულვილი როგორი ტკბილი გრძნობაა!

**bebia** \_ ვინ გძულს მაინც, თუ იცი?

**Zma** \_ *(icinis)* რაიმე ადვილი შეკითხვა მომეცი!

**papa** \_ რატომ, ადვილთან ერთად ადვილია ცხოვრება?

**Zma** \_ დედა, რამდენი წლის იყავი, როდესაც პირველად დაფიქრდი სიკვდილზე?

*(Semodis mama)*

**mama** \_ ძინავს!... ისე საყვარლად ძინავს!

**deda** \_ კარგი იქნება, რამე თუ არ გააღვიძებს!

**mama** \_ რაც არ უნდა ხდებოდეს ირგვლივ, ბავშვები მაინც ყოველთვის ბედნიერები არიან!

**papa** \_ ჩვენც ხომ ვიყავით ბავშვები... ჩვენ რატომ არა ვართ ბედნიერები?

*(cota xans yvela Cumadaa.)*

**Zma** \_ სიჩუმეა! სიჩუმეში იბადებიან არასასურველი ადამიანები!... მამა, მოდი რა, სანადიროდ წავიდეთ?

**papa** \_ იქიდან წამოსვლის მერე მე სანადიროდ არ დავდივარ!

**Zma** \_ გახსოვს, რამდენს მიყვებოდი ნადირობაზე!... თექვსმეტი წლის გახდებო და წავიყვანო... გავხდი და რატომ აღარ წამიყვანე?

**papa** \_ ომი იყო და იმიტომ!... იქით ნადირობდნენ ჩვენზე!...

**deda** \_ რა მალე გარბის დრო... რამდენი წელი გავიდა იმ ამბის შემდეგ... რამდენი წელი...

**mama** \_ წლები კურდღლებით გარბიან!... კურდღლები მაგრები არ არიან, და თავიანთ სახლებს კლდეზე დგამენ... კალიებს მეფე არ ჰყავთ და მწყობრად დადიან...

**Zma** \_ ნადირობა იცი, რატომაა კარგი... ნადირი საპასუხოდ ვერ გესვრის ნადირი ადამიანზე უფრო ჰუმანურია, ასე გვასწავლეს ჩვენ ჰუმანოიდებს! ისე, მამა, ნადირობა ძალიან გავს დახვრეტას!

**papa** \_ დახვრეტას?... ჰო, ძალიან გავს!

*(bebia cdilobs laparaki sxva Temaze gadaitanos)*

**bebia** \_ რა სწრაფად გაირბინა დრომ!... ასე მგონია, მილიონი წელი გავიდა ომის შემდეგ!... ნეტა როდის უფრო მალე გარბის დრო, ომის თუ მშვიდობის დროს!... მე მგონი, მშვიდობის დროს!

**Zma** \_ ამ წყნარ ლაპობას შენ მშვიდობას ეძახი?... დედა-დედა!... ლამის გული ამერიოს შენი სენტიმენტალურობით!... მათხოვრებით გამოვიქეცი, მათხოვრებით ვცხოვრობ, და მათხოვრებით მოვკ...

**papa** \_ არავინაა დამნაშავე იმაში, რაც შენ მოგივიდა!... ომში ბევრი რამე ხდება... შენ რაც მოგივიდა, ისიც!

**Zma** \_ რაც შენ მოგივიდა ისიც?

**papa** \_ შენ რა იცი, მე რა მომივიდა, რა? მიპასუხე... რომ გეუბნები, მიპასუხე! ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

**Zma** \_ მოიცა! რას ჩქარობ... ცხოვრება ძალიან მოკლეა, იმისათვის რომ იჩქარო!

**papa** \_ გაფრთხილებ!

**Zma** \_ რას მაფრთხილებ! რას?

**papa** \_ მორჩი!... გეყოფა! მორჩი! მორჩი, თორემ...

**Zma** \_ შენ სულ მპირდები და მპირდები!... ყველაფერი კი ნორმალური ტყუილით მთავრდება!

**mama** \_ გამაგებინეთ, რატომ არ შეგიძლიათ ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა, რატომ?

**Zma** \_ გამაგებინე, შენ რას ეძახი ურთიერთობას... რას ნიშნავს ეგ ჩინური სიტყვა!... გული მერევა... გული მერევა!

**mama** \_ ორსულად ხომ არ ხარ?

**papa** \_ დალიე, შეირგე რა!... არ შეგიძლია? ნუ სვამ!... არ შეგიძლია რომ არ დალიო... მაშინ წაეთრიე სადმე სხვაგან, სადაც შენს ლაქლაქს აიტანენ!... აქ ცდილობენ ნორმალურად იცხოვრონ!... უნდათ იცხოვრონ!... გინდა აქ ცხოვრება?... იცხოვრე, ოღონდ ამოიგლიჯე ეგ ენა... ვერ იგლეჯ... მაშინ სადაც გაგინარდება, იქ წადი... ფეხებზე მკილია... ფეხებზე!

**Zma** \_ ვაიმე, რა სათნო ხარ?!

**mama** \_ სადამდე შეიძლება ასე, სადამდე?

**bebia** \_ არაფერზე არ მინდა ფიქრი საშლელის გარდა!

**Zma** \_ სამშობლოსათვის ზოგი შვილია და ზოგი ნაბიჭვარი... ღმერთო, გამაგებინე ჩვენ ვინ ვართ! ვინ?

**papa** \_ „ღლია ტოგო ჩტობი ბიტ მილოსერდნიმ, ია დოლჟენ ბიტ ჟესტოკიმ!“

**Zma** \_ ეგ იქ გასწავლეს?... მაშინ?

**papa** \_ თავს მომაკვლევინებ, იცოდე?!

**Zma** \_ ჯობია ამ ცხოვრებიდან ორი წლით ადრე წახვიდე, ვიდრე ერთი დლით გვიან!...

**mama** \_ წერასა ხართ ატანილები?!

**deda** \_ თუ ხოცავთ, დახოცეთ ბარემ ერთმანეთი და მორჩება ყველაფერი დამთავრდება!

**Zma** \_ მომბეზრდა ყველაფერი!

**mama** \_ როცა ბეზრდებათ, ამდენს არ ყიყინებენ!

**bebia** \_ ღმერთო ჩემო, საშლელი რომ მეყიდა, შეიძლება ეს ამბავი არც კი მომხდარიყო!

**Zma** \_ აბა რას შევბიან?

**mama** \_ თუნდაც ფანჯრიდან ხტებიან!

**Zma** \_ (*icinis*) ჰა-ჰა-ჰა!... შენ გგონია, მე არ შემიძლია ფანჯრიდან გადახტომა?... თქვენ გგონიათ მე არ შემიძლია?

**papa** \_ გადახტი, მაგრამ ნუ დაბრუნდები იქიდან ფრთებდამტკრეული!

**Zma** \_ გაჩუმდით ყველა!... გაჩუმდით!

(*Zma fexburTis marSis RiRiniT uaxlovdeba fanjaras.*)

**bebia** \_ გამოდი ფანჯრიდან!.. გეუბნები გამოდი მეთქი!

**Zma** \_ მორჩი რა, დედა!

**papa** \_ დაანებე თავი!

**bebia** \_ ვინ ხარ შენ?... ვინ ხართ თქვენ?... ვინ?... დამდგარხართ აქ და ყველაფერს ამბობთ, რაც ენაზე მოგადგებათ!.. ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ყველაფერი უთხრათ ერთმანეთს?... ვინ?... რა ვქნა? ყური ავიწიოთ?... თმები დავიწიწიწიოთ?... გიკბინოთ, თუ ქამარი გირტყათ!.. რა გიქნათ, რა?... რომ ის გადაბრუნებული ნაწილი თქვენს ტვინში გა-დმო-გიბ-რუ-ნოთ?... რისთვის დაიგროვეთ ამდენი ღვარძლი?... რისთვის?... (*papas*) შენ ვილაცა შემთხვევით ზედმეტ ხურდას რომ გაძლევა... უკან უბრუნებდი და ეუბნებოდი – შეცდიო, მეორეჯერ არ მოგივიდესო! – (*Zmas*) შენ პატარა როცა იყავი ყვავილებს არ მაწყვეტინებდი... ეტკინებათო!.. (*mamas*) შენ კი... შენ ეკლესიაში დადიოდი და მღვდლობა გინდოდა... ვინმე რომ გიყვირებდა ლოცვას იწყებდი... ლოცვას!.. რა მოხდა? აღარ გაძლევენ შეცდომით ზედმეტ ფულს? აღარ ხარობს ყვავილები? თუ აღარ გახსოვთ ლოცვა? ადამიანები ვართ თუ არა, გამაგებინეთ ბოლოს და ბოლოს?!

**Zma** \_ ყველაფერი შენც თვითონ კარგად იცი!

**mama** \_ დედა, აღარაა ეგ სალაპარაკო, აღარაა! დიდი ხანია ყველამ ყველაფერი დაივიწყა!

**deda** \_ ვინ ყველამ... ვინ ყველამ?... უთოს რომ ვრთავ, ასე მგონია ისიც ყველა იმ ამბავს!

**Zma** \_ რა ამბავს?

**deda** \_ თქვით ყველაფერი ბოლოს და ბოლოს!.. ამანაც ხომ უნდა იცოდეს!.. და იქნებ მერე მაინც ჩაწყნარდება ყველაფერი!

**Zma** \_ რა უნდა ვიცოდე!

**papa** \_ მე... (შეხედავს ბებიას) მე, არაფერი მაქვს სათქმელი!..

**deda** \_ ხა-ხა-ხა!

**mama** \_ გაჩუმდით! გაჩუმდით!

**bebia** \_ ღმერთო ჩემო, დარჩა ვინმე ამ სახლში ძლიერი?

**Zma** \_ რა საიდუმლოა ამ ოჯახში ისეთი, რომ... არ ითქმის?

**deda** \_ საიდუმლო კი არა, პარადოქსია!... ცხოვრების აქსიომაა!

**Zma** \_ დასაწყისი მაინც მითხარით... ზღაპრის დასაწყისივით!... იყო და არა იყო რა... იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი... თუ არ იყო. ჰა?... ცოტა მაინც გამიმხილეთ...

**deda \_ (TamaSobs)** არც ცოტა და არც ბევრი არ ნიშნავს უკეთესს. თანაგრძნობა ნიშნავს უკეთესს... რომელიც ან არის, ან არ არის!

**bebia \_** მამათქვენზე არავინ არ იცის იმდენი, რამდენიც მე ვიცი!.. ნურავინ დაიკვივნით ამას, ნურავინ!.. როცა მასთან ერთად გძინავს, ათასი ღამე... როცა აგდის მისი ნერვების სუნი... იცი, იმაზე უფრო მეტი ვიდრე გგონია!.. **(Zmas)** რა განგიცდია შენ ისეთი, ჩვენ რომ გვაიძულებ გული გადავიშალოთ, რა? გული გერევა? გული?.. იცი კი, რა არის ეგ? ცხელი დაუღეპავი სითხე ხელებში როცა გელვრება... როცა გეზიზღება ყველაფერი!.. მაგრამ მაინც აკეთებ იმას, რაც უნდა გააკეთო!.. რასაც შენი შვილი შენთვის არასოდეს არ გააკეთებს... მაგრამ მაინც აკეთებ ყველაფერს... აკეთებ, იმიტომ, რომ გაიღვიძებ ხვალ და იცი, რომ ყველას ეყვარები, ყველას დასჭირდება... რადგან გგონია, რომ ირგვლივ სიყვარულით სავსე ადამიანები ცხოვრობენ და შენც ზრდი სიყვარულით სავსე ადამიანებს!.. რადგან გგონია, რომ საკუთარი სულიც კი რომ გაყიდო, საკუთარი შვილებისათვის... ისინი გაგიგებენ!.. გა-გი-გე-ბენ!.. გგონია, რომ გაგიგებენ!.. რა გინდათ?.. რისი გაგება გინდათ?.. მე გაგცემთ პასუხს, მე!.. მაგრამ ნურავის დაგავიწყდებათ, რომ შენ თხუთმეტი წლის ღლაპი იყავი... შენ, შენი ორსული ცოლის მეტს ვერავის ხედავდი და... კითხულობდი, სულ ფსალმუნებს კითხულობდი!.. ეს კიდე იჯდა და ტიროდა, ტიროდა გაუთავებლად... გგონიათ ამისმა ფსალმუნების კითხვამ გადაგვარჩინა?.. მე რას ვაკეთებდი, არ გაინტერესებთ?.. აა!

**mama \_** არ გინდა, დედა!

**bebia \_** გვინდა დედა, გვინდა!.. მე ცოდვილი ვარ, მაგრამ არა თქვენთან და მინდა ეს იცოდეთ!.. მე ასე სახელოზე ვეკიდე მამათქვენს და ვეხვეწებოდი – გვიშველე, გვიშველე, გვიშველე მეთქი!.. ოღონდ ცოცხლები გადავრჩეთ და... მერე გავგიგებენ ყველაფერს მეთქი!.. ჩვენი შვილები არიან და აბა როგორ ვერ გავგიგებენ მეთქი!..

**papa \_** გაჩუმდი!.. გეხვეწები გაჩუმდი?!

**bebia \_** რატომ გაჩუმდები?.. რატომ?.. ვერ ხედავ რა გვიქნა ამ დამალულმა შიშმა და ტკივილებმა?.. მაგრამ იცოდე, ის რაც გააკეთე, რომ არ გაგეკეთებინა, ხომ არ გვექნებოდა ამდენი პრობლემა?.. გვექნებოდა სამი კოხტა საფლავი რძლის და ორი შვილის... ვივლიდით მათთან... ვიხვეწებოდით, ვიოხრებდით... და ვიქნებოდით... ფანტასტიურად! ფან-ტა-სტი-უ-რად! მშვიდად!.. ესეთი პირობა არ იყო, ან უნდა გაგვეკეთებინა და ყველას ცოცხლებს გავგიშვებდნენ ან არა და... ცოცხლებს მარტო მე და შენ დაგვტოვებდნენ!.. ორივე შემთხვევაში ჩვენ გა-და-გ-რჩე-ბო-დით!.. რა ქნა სულელმა მამათქვენმა, სულელი დედათქვენის ხვეწნა-მუდარის მერე?.. რა ქნა ისეთი, რა?.. ერთი ისროლა, მხოლოდ ერთი... ჩათვალეთ, რომ თავის თავს ესროლა, თავის ღმერთს, თავის სიცოცხლეს ესროლა... ჩახმანს ხომ მაინც ჩვენ გამოვკარით თითი!.. თუ რაიმე გინდათ, მე მითხარით!.. მე!.. აღარ შემიძლია ამ მახინჯი ცხოვრების ატანა!

**Zma \_** მახინჯი?.. მახინჯი მეგრულად ქურდს ნიშნავს!.. ჩვენ მახინჯი ცხოვრებით ვცხოვრობთ!.. ჩვენ მოპარული ცხოვრებით ვცხოვრობთ!

(siCumea)

**papa \_** არავინ განძრეულა!.. ა-რა-ვინ!.. დაგვაყენეს ერთ რიგში და გვითხრეს – გააკეთებთ?.. ყველა წახვალთ. არ გააკეთებთ? – მარტო თქვენ წახვალთ!.. არავინ არ განძრეულა. ვერც გაინძრეოდი. ვინც იქ ვიდექით, უკვე ვიცოდით, რატომ ვიდექით!.. როცა პირველი ხარ, ადვილია თქვა - „არა“... მაგრამ, როცა მესამე ხარ და დანახე, რა მოხდა, როცა პირველმა ორმა თქვა - „არა“... ცხელოდა... არა, ძალიან ციოდა, მაგრამ სულ სველი ვიყავი ოფლისგან... ღმერთო, ნუ ამბობებ და ყველაფერს გაუძლებ მეთქი. – ის კი იდგა და ილიმებოდა. შეიძლება მეჩვენებოდა, რომ ილიმებოდა. რაღაც უცნაური ბოხი ხმა ჰქონდა – ძმებო, ეს ჩემი შემოდგომაა, იცოდეთ!.. მე კიდე მაქვს დრო და მე თქვენ მიყვარხართ!.. ნუ გეშინიათ, თქვენ მომკალით ძმებო, თორემ ესენი ოჯახებს ამოგიწყვეტენო!.. თქვენ ცოდვას ჩემს თავზე ვიღებო!.. მაპატიეთ, ასეთ დღეში რომ ჩაგაგდეთო!.. ტყვედ არ უნდა ჩავვარდნოდი!.. იცოდეთ, ჩვენი მიწა სისხლივით თბილიაო!.. რაც უფრო მეტ მუშტს დაანახებთ ჩვენს მტრებს, მით უფრო კარგი იქნებაო!.. იცოდეთ, ჩვენი მიწა სისხლივით თბილიაო!.. მერე ყველაფერი უცებ დამთავრდა!.. ხმადაბლა ლაპარაკობდა, ემოციების გარეშე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ!.. თუმცა ეხლა... ჰო!.. ყველაფერი უცებ დამთავრდა!..

**Zma \_** მერე სად არის?

**papa \_** რა?

**Zma \_** ის მუშტები, ჩვენს მტერს რომ უნდა დავანახოთ!

**papa \_** ბაზარში ვუღერებთ ერთმანეთს!

**mama \_** ტრაგიკული ისტორიის ბედნიერი დასასრული.

**bebia \_** თუ ვინმეს რამის გაკეთება გინდოდათ, ყველა იქ იყავით!

**Zma \_** ჩვენ ახლაც იქ ვართ! საკუთარი თავისთვის თავადა ვართ, წყვილადზე მძიმენი!

**deda** \_ მდაა!... ცხოვებაში – დრეკადი, ყველაზე მყარი საფუძველია.

(*rekavs saaTi*)

**bebia** \_ ღმერთო ჩემო, ერთი საათი გავიდა... მხოლოდ ერთი საათი და ჩვენ კი, ჩვენი ცხოვრება რამდენჯერ დაგანგრიეთ?

**Zma** \_ ცხოვრებაში ღება ისეთი წუთები, როცა ყველაფერს რამდენიმე საათი წყვეტს! Sursum Corda!... ასე მგონია, რომ ჩვენს დასამარხად ცოცხლებიც კი არ იქნება საკმარისი!

**bebia** \_ Sursum Corda – ამაღლებისკენ ესწრაფე გულო!

**Zma** \_ რა დიდი ხნის წინ იყო – Sursum Corda! Sursum Corda!

(*Zma garbis da fanjridan xteba. yvela daZabuli iyureba fanjrisken. samarisebuli siCumea. Semdeg isini nella brundebrian erTmaneTisken da icinian. jer xmadabla, mere ufro da ufro xmamaRla. roca sicili neldeba, karebidan Semodis Zma. dasvrili da dasixlianebuli. TviTonac icinis.*)

**Zma** \_ რა იყო?.. არ შეგეშინდათ ხომ?.. პირველ სართულზე რომ ვცხოვრობთ და არა მესამეზე, იმიტომ არ შეგეშინდათ არა?.. ეეჰ, ვინ იცის, თქვენ რა ხალხი ხართ!

**mama** \_ პატარა ადამიანებს, პატარა სიმაღლეები შემორჩათ!.. დიდი სიმაღლეები აღარ არსებობენ!.. იმიტომ, რომ ღმერთი აღარ გეწამს... ნეტა რატომ აღარ გეწამს ღმერთი?

**deda** \_ იმიტომ რომ გეშია!

**Zma** \_ სადღაც ამოვიკითხე, რომ... მეცნიერებას შეუძლია სიცოცხლის გაგრძელება, მაგრამ სიკვდილს ის ვერ მოსპობს... მხოლოდ თეატრს შესწევს ძალა მოატყუოს სიკვდილი!

**bebia** \_ ბოლომდე მაინც არავინ კვდება!.. ამის ნათელი მაგალითი შენ ხარ, შენ!

**Zma** \_ ხანდახან მგონია, რომ ჯერ არც კი დაებადებულვართ... მაგრამ როცა დავიბადებით, გეშინოდეთ ჩვენი... ჩვენ ვიქნებით ის სირცხვილი, რომელსაც ვერსად ვერ დაემალებით!

**papa** \_ დღეს ხომ ჩვენ მაინც ცოცხლები ვართ... ცოცხლები!

**bebia** \_ ფინალი დაგვაგიწყდა!

**deda** \_ რა კარგია კარგი ფინალი?!

**mama** \_ ჰო, ფინალი დაგვრჩა!

**papa** \_ „ფინალი ეტო სავესემ კაკ სიგნალი!“

**Zma** \_ Sursum Corda! ამაღლებისკენ ესწრაფე გულო!

**papa** \_ Sursum Corda!

(*ყველანი იმეორებენ ამ სიტყვებს. შემოდის „ვიღაცა!.. ის ჰდება ავანსცენაზე დოლით ხელში და ამბობს – ძალა არაა ღონე!.. ძალა არაა გვერი!.. – ძალა არაა ძალა! – და იწყებს დაკრას. დოლის გამაღებულ დაკრასთან ერთად შემოდის ზღვის ღელვის ხმები. სცენაზე თითქოს ზღვა შემოიჭრება. გმირები ზღვაში ნებვირობენ, დაცურავენ, შეიძლება ივრინონ კიდეც, ისე როგორც სიზმარში, ან ოცნებებში დაფრინავენ აღამიანები. მხოლოდ ვიღაცა არ მონაწილეობს ამ ნებვირობაში, ის გამაღებით უკრავს დოლს. დოლის დაკრა და ზღვის ხმა დიდხანს უნდა გრძელდებოდეს. სართო საიხარულს მხოლოდ დოლის ხმა, როგორც გულის ცემა ისე მისღებს ვინაღ.*)

## farda